ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

ორშაბათი, 11 აპრილი, 2016 №85 (7011) ფასი: 50 თეთრი

არსენ იაცენიუკი გადადგა

გვ.8

გვ.5

„ჩვენმა ბრძოლამ პირველი შედეგი მოიტანა“

სააკაშვილი იაცენიუკის გადადგომას გამოეხმაურა

11 აპრილიდან

ჯონ გოლზუორთი

ფორსაიტების ხსნა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



„ნაციონალები, ალასანია და ოჭრუაშვილი იგორ გიორგაძის დავალებით მოქმედებენ“

გვ.3

ემზარ კვიციანი: „უსაფრთხოების სამსახური მუზებს მიფრთხობს“

რა პროვოკაცია დაიგეგმა გორში

მამუკა არეშიძე: „არჩევნების წინ ყავით მომწამლეს“

გვ.2

„ლელუაშვილი პირდაპირ იბრძოდა ჩემ წინააღმდეგ“

კუდის ყოფილ მაღალჩინოსნებს პატიმრობა შეეფარდათ

ადვოკატები გასაჩივრებას გეგმავენ

გვ.2

გიგლა აგულაშვილი: „პირადი ცხოვრების კადრები შეიძლება კიდევ გასაჯაროვდეს“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „ეს არჩევნები ყველაზე ბინძური იქნება“

„წინასაარჩევნო კამპანიას მაშინ აქვს აზრი, როდესაც ამომრჩეველი მერყეობს“

გვ.4

ISSN 1987-9385

მამუკა არეშიძე: „არჩევნების წინ ყავით მომწამლეს“

ნონა ცაბაძე

ვინ და რატომ მოწამლა მამუკა არეშიძე არჩევნების წინ? რატომ აპირებდნენ მის დაპატიმრებას? რა კავშირი აქვს ამ ყველაფერთან ვაჟა ლელუაშვილს? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტი მამუკა არეშიძე პასუხობს.

„ლელუაშვილი პირდაპირ იბრძოდა ჩემ წინააღმდეგ“

– ბატონო მამუკა, თქვენ არაერთხელ გითქვამთ ჩვენი გაზეთის საშუალებით, რომ ხელისუფლებას ვაჟა ლელუაშვილი გვერდით არ უნდა დაეყენებინა. რატომ დააპატიმრეს მაინცდამაინც ახლა? ეს წინასაარჩევნოდ დასჭირდათ?

– არ გამოვრიცხავ, რომ ეს წინასაარჩევნოდ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა არ მიკვირს. მე ამასაც ვპროგნოზირებდი, რომ მოხდებოდა როგორც ფარული ჩანაწერების დემონსტრირება, ისე გააქტიურდებოდა რეპრესიები დამნაშავეების მიმართ. ეს ნურავის გაუკვირდება, რადგან ყველგან, ყველა ქვეყანაში, არჩევნების წინ მმართველი ძალა ცდილობს შესრულებას იმ მოთხოვნებისა, რომლებსაც საზოგადოება მის წინაშე აყენებს.

– გამოდის, ხელისუფლებას წინასწარ ჰქონდა ინფორმაცია, რომ ის გარეული იყო ამ საქმეში?

– რასაკვირველია. რაც შეეხება თვითონ ლელუაშვილს, მან თავის დროზე ხელისუფლებას შესთავაზა მის ხელთ არსებული ინფორმაცია, მათ შორის ეს მაკომპრომეტებელი მასალა, მაგრამ...

– მაგრამ რა?

– როგორც სჩვევია ლელუაშვილს, ის ორმაგ თამაშს თამაშობდა. როგორც ჩანს, უყურეს ამ სიტუაციას, აცადეს და ბოლოს რომ მიხვდნენ, ეს არის ორმაგი თამაშის სპეციალისტი, ზუსტად იქ მოხდა მისი დაკავება. მართალია, ვითომ კონკრეტულ ფაქტზე ანუ 2012 წლის 5 მაისის ამბავთან, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მოთმინების ფიალა აივსო.

– მასტერას ექსტრადირებას საეჭვოდ დაემთხვა ლელუაშვილის დაკავება. ამ ორ ფაქტს ერთმანეთს თუ უკავშირებთ?

– შესაძლებელია, ლოგიკა არსებობს იმისა, რომ ეს ორი ფაქტი ერთმანეთს დავუკავშიროთ. კი, შესაძლებელია, მასტერამ დამატებითი ინფორმაცია მისცა პროკურატურას ლელუაშვილთან დაკავშირებით, მაგრამ მე მგონია, ისედაც საკმარისი ინფორმაცია ჰქონდა პროკურატურას ამ პიროვნებაზე და აქედან გამომდინარე მოხდა მისი დაკავება.

– ანუ ამ ვერსიას გამორიცხავთ?

– არაფერს გამოვრიცხავ, თუმცა, საბოლოო ჯამში, შედეგია მთავარი. ის, რომ ლელუაშვილიც და მასტერაც დღეს არიან იზოლატორში, მნიშვნელოვანი და კარგი გადაწყვეტილებაა. ხელისუფლებას ეს ნაბიჯი თავის დროზე რომ გადაედგა, ლელუაშვილთან დაკავშირებით მაინც, ბევრად უფრო წყნარ სიტუაციაში ვიქნებოდით თუნდაც წინასაარჩევნო თვალსაზრისით.

– როდესაც ვაჟა ლელუაშვილი დააკავეს, თქვენმა გვარმაც გაიჟღერა. ჟურნალისტი ელისო კილაძე წერდა სოციალურ ქსელში, 2012 წლის არჩევნების წინ მე გავაფრთხილე მამუკა არეშიძე, რომ მისი დაკავება იგეგმებოდაო. რამდენად ადასტურებთ ამ ფაქტს?

– ელისო კილაძემ მართლა გამაფრთხილა ამის თაობაზე და მე ვიცოდი, რომ ასეთი რამ ხდებოდა. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ შექმნილიყო ეს ფონი. გადაიბირეს სოფელ სამგორის კოორდინატორი, გარდაბნის რაიონისა და ეს პიროვნება დამაგრებული კამერით შემოვიდა ჩემთან კაბინეტში, როდესაც მე კოორდინატორებს ფულს ვურიგებდი სამუშაოს მიხედვით და ეს ჩაწერა. სწორედ ეს იყო დაპატიმრებისთვის მოსამზადებელი სამუშაო.

– მერე, რატომ არ დაგაპატიმრეს?

– როგორც ჩანს, ამან არ გაჭრა, რადგან დაპატიმრების სანქცია არ გაიცა. მაშინ ლელუაშვილს შეუთვალეს, რაღა კოორდინატორს უგზავნიდი, სხვას გაეკეთებინა ვინმესო, რადგან კოორდინატორისთვის თანხის გადახდა ლოგიკურია. ვიღაც სხვა რომ ყოფილიყო, ეს იქნებოდა მოსყიდვა. მას ოპერაცია დაუწუნეს და ამიტომ არ შედგა ეს ამბავი. ლელუაშვილი პირდაპირ იბრძოდა ჩემ წინააღმდეგ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ფეიქრიშვილი გაეყვანა, მისი მარჯვენა ხელი. იმას, რომ ზეწოლა ხდებოდა იქაურ მოსახლეობაზე, ჩემს აქტივისტებზე, უკვე ყურადღებას აღარ ვაქცევ. მხოლოდ ორ ფაქტზე გავამახვილებ ყურადღებას.

– რა ფაქტებზე?

– არჩევნების წინ, სექტემბრის შუა რიცხვებში, ყავით მომწამლეს. ორი დღე ვიმყოფებოდი ინფექციურ საავადმყოფოში და ამის გადამოწმება ძალიან მარტივია.

– ეს აქამდე არ გითქვამთ?

– არ მითქვამს და ასევე ჩვენი შტაბის ერთ-ერთ მთავარ წევრს, ბუბა დვალს, შეასხეს ქიმიური ნივთიერება თვალებში. ის არჩევნებამდე დაბრმავებული იყო. ამ ფაქტზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, დადგენილიც იყო, ვინ გააკეთა.

– ვინ?

– ეს იყო გარდაბნის პოლიციის უფროსის მოადგილე. ის პიროვნება საერთოდ გაუჩინარდა. არჩევნების შემდეგ ამ სისხლის სამართლის საქმეს გაგრძელება არ მოჰყოლია. ასევე ჩვენს ერთ-ერთ თანამშრომელს, 6 შვილის მამას, მანქანის მუხრუჭი გადაუჭრეს. მეტი რაღა უნდა გაეკეთებინათ, ტყვიას ვერ მესროდნენ.

– ამ ყველაფრის ორგანიზატორი ლელუაშვილი იყო?

– ამის უკან ძალოვანი სტრუქტურები იდგნენ. პირდაპირ ლელუაშვილისკენ ხელის გაშვერა არ არის სწორი, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ქვემო ქართლსა და განსაკუთრებით გარდაბანში ყველაფერი ლელუაშვილის კონტროლის ქვეშ ხდებოდა, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ყველაფერი მის მიერ იყო გაკეთებული.

ლელუაშვილი თავიდან არ ჩანდა. რომ შეხედეს, მე ვიმარჯვებდი, სწორედ მაშინ ჩართეს ლელუაშვილი. მე არჩევნების შემდეგ კბილაშვილსაც შევხვდი, საჩივარიც შევიტანე, თუმცა ამას რეაგირება არ მოჰყვა. მივხვდი, რომ ძალოვან უწყებებზე მეხუთე კოლონის გავლენა დიდი იყო და საერთოდ შევეშვი.

– ახალმა ხელისუფლებამაც გამოიყენა ლელუაშვილის კავშირები, ბევრი შავი საქმე გააკეთებინესო. ასე არ არის?

– კი ბატონო, ასეც იქნებოდა, რადგან გადაბირება სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდოლოგიაა. ეს არ მიკვირს, რადგან ცივი გონებით ვუყურებ ამ ყველაფერს და მესმის, რომ ლელუაშვილისგან ინფორმაცია ამოსაღები იყო.

თქვენთვისაც მითქვამს, რომ ჩემი თვალით მყავს ლელუაშვილი ნანახი ოქტომბრის პირველ რიცხვებში „ქართული ოცნების“ ოფისში, როგორ ცდილობდა ის ხვედელიძესთან შეხვედრას და როგორ არ მიიღო ხვედელიძემ.

– რა გამოდის, ხელისუფლებამ ჯერ გამოიყენა ლელუაშვილი და მერე დააპატიმრა?

– ბოლომდე ვერ გამოიყენა. უარეს შემთხვევაში, ვერ გამოიყენა, უკეთეს შემთხვევაში, არ გამოიყენა. ხელისუფლებას არ ვამართლებ, ხელისუფლებას ისეთი ადამიანების გამოყენების მცდელობაც არ უნდა ჰქონოდა, როგორიც ლელუაშვილია. ის დაპატიმრებული უნდა ყოფილიყო და პროცედურული ნორმების დაცვით უნდა მიეღოთ მისგან ინფორმაცია. თუმცა ძალოვანი უწყების ზოგიერთმა წარმომადგენელმა არჩია ეს ფორმა, რომ ის ყოფილიყო გადმობირებული და ასე მიეღოთ ინფორმაცია. ჯერ დააკავეს, მერე გამოუშვეს, საბოლოო ჯამში კი მივიღეთ ის, რომ ლელუაშვილმა მოახდინა ხელისუფლების კომპრომეტაცია.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ დღეს გამოდის ნაციონალური მოძრაობა და ლაპარაკობს, გარდაბანში გამგებლის არჩევნებში ლელუაშვილი ლამის შტაბის უფროსი იყოო. ასე არ ყოფილა. მე კარგად ვიცი გარდაბნის მეორე არჩევნები. იქ ლელუაშვილის ხალხი მოქმედებდა და, პირველ რიგში – ფეიქრიშვილი. თვითონ ლელუაშვილი ორმაგ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

კუდის ყოფილ მაღალჩინოსნებს პატიმრობა შეეფარდათ

ადვოკატები გასაჩივრებას გეგმავენ

უკანონო მოსმენის საქმეზე დაკავებულ კუდის ყოფილ მაღალჩინოსნებს ექვსსაათიანი მსჯელობის შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლო სხდომა, პროკურატურის მოთხოვნით, დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

დაცვის მხარე სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება.

როგორც ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საჭიროებას მიუთითებდა.

– არ იყო მტკიცებულებები, რა თქმა უნდა, გავასაჩივრებთ ამ საქმეს არა მარტო სააპელაციო, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სადაც დადგინდება, რომ მოსამართლემ ფეხქვეშ გათელა ადამიანის უფლებები. არ შეიძლება, ის დანაშაული, რომელიც ეხება კადრების გავრცელებას, დაკვალიფიცირდეს, როგორც ზოგადი მუხლი, – განაცხადა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

დაცვის განმარტებით, თავდაპირველად მოხდა დაკავება 157-ე მუხლით, რომელიც ამნისტირებულია, ხოლო ამის შემდეგ, ბრალის დადგენილების გაცნობის დროს, მათთვის მიზანმიმართულად მოხდა გადაკვალიფიცირება და ბრალის დამძიმება.

– მტკიცებულებების თვალსაზრისით, ჩაიდინა თუ არა ეს დანაშაული, ამ მხრივ ძალიან უჭირს არა მარტო ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ, ზოგადად ამ საქმეში ბრალდებას. რეალურად ამნისტირებულ მუხლზე ედავებიან ბრალდებულებს.

ვასილ ლელუაშვილს ვიცავ სხვა საქმეზე. 3 წელი და 3 თვეა, რაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს გირაო. ყოველ კვირა დადის პროკურატურაში, მას პასპორტი აქვს ჩაბარებული. მოსამართლემ არ აიღო თავის თავზე ის წნეხი, რომელიც

მოჰყვებოდა მათ გათავისუფლებას, – განაცხადა ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა.

◆ ◆ ◆

სხვა პოზიცია აქვს ბრალდების მხარეს.

პროკურორ მაია ჯვარშეიშვილის განცხადებით, მოსამართლემ რელევანტური გადაწყვეტილება მიიღო.

– ბრალდების მხარის პოზიცია წარმოდგენილ მტკიცებულებებს ეყრდნობა. მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო ერთადერთი და კანონიერი. სასამართლომ გაიზიარა, რომ არსებობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.

ყველა ფაქტობრივი გარემოება სახეზეა. სასამართლომ განმარტა, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება რელევანტურია და არსებობს როგორც მიმალვის, ასევე მტკიცებულებების განადგურების საფრთხე, აგრეთვე ახალი დანაშაულის საფრთხეც, რაც აკმაყოფილებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტს. ჩვენ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სასამართლომ საკმარისად მიიჩნია, – განაცხადა მაია ჯვარშეიშვილმა.

მან უარი თქვა ინფორმაციის მოწოდებაზე კონკრეტულ პირებთან დაკავშირებით, რადგან შესაძლოა ამან ხელი შეუშალოს გამოძიებას.

– არის მოწმეთა ბაზა და არიან დასაკითხი პირებიც, – განაცხადა პროკურორმა.

◆ ◆ ◆

მოსამართლე ნატო ხუჯაძემ მიღებული გადაწყვეტილება დაასაბუთა იმით, რომ არსებობს ბრალდებულთა მხრიდან, თავისუფლებაზე ყოფნის შემთხვევაში, გამოძიებისთვის ხელის შეშლის საფრთხე.

პატიმრობა შეეფარდათ: კუდის დირექტორის ყოფილ მოადგილე ვასილ ლელუაშვილს; კუდის თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროს რევაზ შიუკაშვილს; კუდის თბილისის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოს ყოფილ უფროს რომან ზაალიშვილს; შსს-ს ძველი თბილისის სამმართველოს ყოფილ უფროს ირაკლი ყიფშიძეს; შსს-ს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების ყოფილ უფროს ზურაბ პავლიაშვილს და შსს-ს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების უფროსის ყოფილ მოადგილე გიგლა შიოშვილს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნაციონალები, ალასანია და ოქრუაშვილი იგორ გიორგაძის დავალებით მოქმედებენ“

შორენა მარსაგიშვილი



ემზარ კვიციანი: „უსაფრთხოების სამსახური მუზებს მიფრთხობს“

რა პროვოკაცია დაიგეგმა გორში

ვისთან აპირებს პატრიოტთა ალიანსი თანამშრომლობას, რა პროვოკაციისთვის ემზადებიან რუსეთ-ამერიკის მიერ კონტროლირებადი ძალები, ვინ აფინანსებს ყოფილ ხელისუფლებას, რატომ უნდა დააკვირდნენ სპეცსამსახურები პოლიტიკოსებს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ემზარ კვიციანი ესაუბრება.

– საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა გია ვოლსკიმ განაცხადა, რომ ისინი მომავალში ალიანსთან და ბურჯანაძის პარტიასთან თანამშრომლობას არ გამორიცხავენ. თქვენ მზად ხართ მათთან სათანამშრომლოდ?

– ვოლსკი ჭკვიანი კაცია და სწორ განცხადებებს აკეთებს. მისი ეს განცხადება მისასალმებელია. ამის მიუხედავად, წინასწარი პროგნოზებისგან თავს შევიკავებ, იმას კი ვიტყვი, რომ ჩვენ ყველასთან ვითანამშრომლებთ, ვინც თავისი ქვეყნის პატრიოტია.

– ნაციონალები ამბობენ, რომ ვოლსკიმ ხელისუფლების გეგმა გააჟღერა და „ქართული ოცნება“ პარლამენტში ალიანსისა და ბურჯანაძის გაყვანას აპირებს.

– რა სჭირს პატრიოტთა ალიანსს ვინმეს გასაყვანი? ან როგორ შეიძლება, ნაციონალების განცხადებებზე რომ კეთდება კომენტარები? მთელი საქართველო იმას ვიძახით, რომ ეგენი ფაშისტების მსგავსად უნდა გასამართლდნენ და მაინც მაგათ ვუგდებთ ყურს. ჩემი აზრით, მაგათ ლაპარაკს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. არც მე მინდა მათ განცხადებაზე კომენტარის გაკეთება, მაგრამ მკითხეთ და კითხვის უპასუხოდ დატოვება უხერხულია.

„ქართულმა ოცნებამ“ კარგად იცის, რომელ პარტიას რა რეიტინგი აქვს და რომელი პარტიები მოხვდებიან პარლამენტში. ზოგიერთ რეგიონში ჩვენ რეიტინგით „ქართულ ოცნებასაც“ ვუსწრებთ. ყველას უნდა იმ ძალასთან თანამშრომლობა, რომელიც ხალხის სიმპათიით სარგებლობს. ჩვენთან ალიანსის შესაქმნელად ნაციონალებიც დიდი სიამოვნებით წამოვიდოდნენ, მაგრამ მათ ახლოს არ ვიკარებთ და არც არასდროს გავიკარებთ.

– ჰქონდათ ნაციონალებს ალიანსთან ახლოს მიკარების მცდელობა?

– როგორ არ ჰქონდათ, მაგრამ ჩვენი კარი მაგათთვის, რესპუბლიკელებისთვის, ალასანიასა და ოქრუაშვილისთვის ყოველთვის დაკეტილი იქნება. ჩვენს გაერთიანებას პატრიოტთა ალიანსი ჰქვია და უხერხული იქნება, აქ ქვეყნის გამყიდველები შემოვიყვანოთ. ჩვენ საქართველოს ინტერესებს ვემსახურებით, ეგენი კი უცხოელების დაკვეთას ასრულებენ.

– პატრიოტთა ალიანსი პრორუსულ ძალად მოიაზრება, თქვენ მიერ ჩამოთვლილი პარტიები კი პროდასავლურ ძალებად არიან მიჩნეული. ამიტომ ხომ არ არის თქვენი კარი მათთვის ჩაკეტილი?

– მოიცა, მოიცა, რომელია პროდასავლური ძალა, ნაციონალები და რესპუბლიკელები თუ ალასანია და ოქრუაშვილი? ეგენი იმიტომ უწოდებენ საკუთარ თავს პროდასავლურს, რომ რუსული საქმე აკეთონ.

– ალიანსის პრორუსულობაზე რას იტყვით?

– ჩვენ ყველანაირ პროზე ვამბობთ უარს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ პროზე ძალიან ცუდი სიტყვები იწყება. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ჩვენ ვართ პატრიოტები და მთავარ ამოცანად ქართული საქმის კეთება გვაქვს დასახული. ამის გამო ბევრი მტერი გვყავს.

– ზემოთ გვითხარით, ნაციონალებს ახლოს არ ვიკარებთო და საარჩევნო კოდექსის შეცვლას მათთან ერთად რომ ითხოვთ, ამაზე რას იტყვით?

– საარჩევნო კოდექსის შეცვლას მთელი ოპოზიცია ითხოვს. იქ ჩვენც ისე მივდივართ, როგორც სხვები და სხვის ტერიტორიაზე ვერაფერს ავკრძალავთ. ჩვენს ტერიტორიაზე ისინი ფეხს ვერ შემოადგამენ. კარგი ადამიანები ნაცმოძრაობაშიც არიან და, თუ მათ დანაშაული არ აქვთ ჩადენილი, თოფი არავისთვის უსვრიათ და დუბინკა არ ჩაურტყამთ, არაფერს ვერჩით. პარტიას თუ დატოვებენ და ხალხს სიმართლეს ეტყვიან, დაველაპარაკებით.

– თავის დროზე ნაციონალებზე სიმართლე თქვა და არც თოფი უსვრია ვინმესთვის ლევან ბერძენიშვილს. მას თუ გაუღებთ კარს?

– ლევან ბერძენიშვილს რომ ნასროლი აქვს, ეგეთი ნაციონალებსაც კი არ აქვთ გაკეთებული. რასაც ეგ კაცი ქართველებსა და საქართველოზე ამბობს, თოფის სროლაზე უარესია. თოფით შეიძლება ერთი კაცი მოკლა, მაგის სიტყვები კი მთელ ერს ანადგურებს. მაგის სიტყვები მასობრივი განადგურების იარაღია.

ასეთი ანტიქართულები რომ არ ყოფილიყვნენ, ასე რადიკალურად არ ვიქნებოდი რესპუბლიკელების მიმართ განწყობილი, მით უმეტეს, რომ თავის დროზე მათ ჩემი გათავისუფლების მოთხოვნას ხელი მოაწერეს, რაც მოგვიანებით ლევან ბერძენიშვილმა მაგრად დამამადლა. კიდევ კარგი, მათი ხელმოწერით არ გამოვედი გარეთ. თავის დროზე რომ არ გამომიშვეს ციხიდან, ეგ რესპუბლიკელებისა და ნაციონალების დამსახურებაა. ეგენი აკონტროლებდნენ სპეცსამსახურებს.

– სპეცსამსახურებზე ჩამოვარდა სიტყვა და თქვენც გითვალთვალებენ? ირაკლი ალასანია ამბობს, რომ მასზე თვალთვალი მიმდინარეობს. ეს ჩვილები სხვა პოლიტიკოსებსაც აქვთ.

– ამ თემაზე ირაკლი ალასანიამ ხმა არ უნდა ამოიღოს. წლების განმავლობაში უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო და თვალთვალი მაშინ იყო, თუ იყო. ისე, მაგის პარტიაში ძალიან კარგი ბიჭები არიან და გული მწყდება, რომ იქიდან არ მოდიან. რაც შეეხება თვალთვალს, ამაზე დიდი პრეტენზიები არ მაქვს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სოზარ სუბარი: „კადრების გადაღება ვაჟა ღელუაშვილისა და სხვა პირების დონეზე ვერ გადაწყდებოდა“

დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი დარწმუნებულია, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გადაღება ვაჟა ღელუაშვილისა და სხვა პირების დონეზე ვერ გადაწყდებოდა.

როგორც სოზარ სუბარმა „იმედის“ გადაცემა „პოლიტიკაში“ განაცხადა, ეს მხოლოდ პირველი პირების დონეზე ხდება.

– როდესაც რამდენიმე ათეულობით ათასი საქმის გადაღება ხდება საცხოვრებლებში, სასტუმროებში და ასე შემდეგ, ეს ვერ მოხდება ვაჟა ღელუაშვილის გადაწყვეტილების, ან ძმები ახალაიების დონეზე, ეს ხდება მხოლოდ პირველი პირების დონეზე. ამ ქვეყანაში მაშინ პირველი პირი იყო მიხეილ სააკაშვილი და მასთან დაახლოებული პირი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, – განაცხადა სუბარმა.

მინისტრის თქმით, ის, რომ მერაბიშვილი პატიმრობაშია, მაგრამ მას აღნიშნულ დანაშაულზე არავინ ედავება, ნიშნავს იმას, რომ ბრალდების წაყენება ვერ მოხდება, თუ კონკრეტული სამხილი არ არსებობს.

– ბოდიში, მაგრამ, როგორ წარმოგიდგენიათ, ეს ბრალდება წაუყენო ადამიანს, თუ უშუალო სამხილი არ გაქვს?! სისტემური დანაშაული იმიტომაა სისტემური, რომ როცა გამოიძიება ათასობით საქმე, აუცილებლად მივა ერთ ადამიანთან და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, ვიღაცამ არ მოინდომოს პოლიტიკური სარჩულის მიცემა. დღესაც კი, როდესაც ძალიან კონკრეტული ბრალდებები აქვს წაყენებული ამ ადამიანს, ძალიან ბევრი პოლიტიკოსი ჩვენთან თუ ქვეყნის გარეთ ცდილობს, ამას მისცეს პოლიტიკური სარჩული, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

მედიანიუსი

ზურაბ ჯაფარიძე: „ეჭვი მეპარება, რომ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით გამოძიება ბოლომდე მივა“

პოლიტიკურ ცენტრ „გირჩის“ წევრ ზურაბ ჯაფარიძეს ეჭვი ეპარება, რომ პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით გამოძიება ბოლომდე მივა.

როგორც ჯაფარიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ჯერჯერობით არანაირი გამოძიება არ ყოფილა.

– აქ ჩანან მხოლოდ კონკრეტული ადამიანები. ჯერჯერობით რაც ჩანს, არის ის, რომ ამ დაკავებებს რაღაც პოლიტიკური მიზანი ჰქონდა. მე მაინც ეჭვი მაქვს, რომ ეს გამოძიება ბოლომდე არ მივა, იმიტომ, რომ თუ ამ საქმის გამოძიება უნდათ, რასაც იძახიან, გამოვიძიებთო, ამის გამოძიებას 4 წელი არ სჭირდებოდა. ამიტომ მნიშვნელოვანია, შეიქმნას საპარლამენტო დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც ჩვენ მიერ არის ინიცირებული, რომ პარლამენტში, მათ შორის საზოგადოების ფართო ჩართულობით, ეს საქმე რეალურად იქნეს გამოძიებული, – აღნიშნა ჯაფარიძემ.

მედიანიუსი

გიგლა აგულაშვილი: „პირადი ცხოვრების კადრები შეიძლება კიდევ გასაჯაროვდეს“

გარემოს დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი არ გამორიცხავს, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გასაჯაროება კიდევ მოხდეს.

ამის შესახებ აგულაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

– არ დაიმალება, არ მიიჩქმალება და ვერ მიიჩქმალება სიმართლე ვისაც არ უნდა სურდეს ეს. ამავე დროს, კითხვის ის ნაწილი, არის თუ არა მოსალოდნელი, რომ მსგავსი ფაქტები განმეორდეს კიდევ – არ გამოვრიცხავ, რადგან ვერ დავუშვებ აზრს, რომ ის სისტემური დანაშაული რაც ხდებოდა რამდენიმე წლის წინ, მხოლოდ ამ ადამიანების მონაწილეობით ხდებოდა, – აღნიშნა მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ 8 აპრილს პროკურატურამ პირადი ცხოვრების ამსახველ ფარული ჩანაწერების საქმეზე 5 ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავა.

მედიანიუსი

მამუკა არეშიძე: „არჩევნების წინ ყავით მოგწამლეს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თამაშს აწარმოებდა, ერთი ხელით ვითომ კულუარებიდან ეხმარებოდა „ქართულ ოცნებას“ და მეორე ხელით ეხმარებოდა ნაციონალებს. ქართულ სოფლებში „ოცნებას“ ეხმარებოდა, რადგან ხალხის განწყობა იცოდა, ხოლო აზერბაიჯანულ სოფლებში – ნაციონალებს.

– მასტერასა და ლელუაშვილის დაკავების ფონზე, უნდა ველოდოთ ახალ დაპატიმრებებს?

– რასაკვირველია, ასე იქნება. ყველა ის პირი, ვინც ამ ბოლო დღეებში დააკავეს, კონკრეტულ საქმეებზეა დაკავებული. ასეთი დაპატიმრებები, შესაძლოა, კიდევ მოხდეს სხვა კონკრეტულ საქმეებზე, მაგრამ იმისთვის, რომ საზოგადოებრივი მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, სამართლიანობის აღდგენის პროცესი გააქტიურდეს, საჭიროა სისტემასთან ბრძოლა და არა – კონკრეტულ ფაქტებთან.

სამართლებრივი დევნა მხოლოდ იმათ მიმართ კი არ უნდა დაიწყოს, ვინც ბრძანება გასცა, არამედ მათ მიმართაც, ვინც ეს დანაშაულებრივი ბრძანება შეასრულა!

დღეს ერთ მნიშვნელოვან დეტალს ვხედავ. ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, ხელი მთლიანად ღელუაშვილს შეაწმინდოს, განტევების ვაცად გამოიყვანოს. სააკაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ მან თურმე არაფერი იცოდა, ასევე დანარჩენებისაც, რომ წარმოდგენა არ ჰქონდათ, რას აკეთებდა ღელუაშვილი, ორი რამის მანიშნებელია – ერთი, რომ თურმე სახელმწიფო არ გვქონია და პრეზიდენტი არ გვყოლია. თურმე არავინ არაფრის აზრზე არ ყოფილა და მეორე – ტოტალური მიყურადება იყო, ტოტალური მოსმენა და ტოტალური დოსიეების შექმნა. მე ჩემი დოსიე მაქვს ნანახი, არა ვიდეო ან კომპრომატები, დოსიე მაქვს ნანახი, თუ ვისთან მქონდა კონტაქტები და ეს ყველაფერი ღელუაშვილის კანტორაშია გაკეთებული.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბაჭონი ფიქრია

სოსო ცინცაძე: „ეს არჩევნები ყველაზე ბინძური იქნება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე პოლიტიკური პარტიების შანსებზე საუბრობს.

სოსო ცინცაძე:

– წინასაარჩევნო კამპანიის კლასიკაა, რომ პოლარიზებულ საზოგადოებაში მნიშვნელობა არ აქვს წინასაარჩევნო კამპანიას, რადგან ამომრჩეველს იმთავითვე აქვს გადაწყვეტილება მიღებული, თუ ვის მისცეს ხმა. ამიტომ ჩემთვის გაუგებარია ის ვაი-უშველებელი, რაც მოჰყვა არჩევნების თარიღს, რომ აგვისტოში წინასაარჩევნო კამპანიას ვეღარ ჩაატარებენ. რაც უნდა არწმუნოს სხვამ, მაგალითად, ნათელაშვილის ელექტორატი, ის იმ სხვას არ მისცემს ხმას. წინასაარჩევნო კამპანიას აზრი აქვს მაშინ, როდესაც ელექტორატი მერყეობს და გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული.

– სოციოლოგიური კვლევებით ვიცით, რომ 60%-ს ჯერ კიდევ არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული, თუ ვის დაუჭერს მხარს.

– ეს არის ამომრჩევლის ის ნაწილი, რომელსაც არჩევნები საერთოდ არ აინტერესებს, რომელიც ნიჰილისტურად არის განწყობილი და რომელიც არც აპირებს არჩევნებზე წასვლას. ეს ძალიან ცუდია. იმედგაცრუება როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის ყველაზე დიდი მტერია. ეს არის საერთო პრობლემა და ამის გამოსასწორებლად ყველამ ერთად უნდა იბრძოლოს.

– ამ არჩევნებზე დაბალი აქტივობა იქნება?

– მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობ, რომ კრიტიკულად დაბალი არ იქნება და ამომრჩეველი მივა საარჩევნო უბანზე, რადგან საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობა.

საპარლამენტო არჩევნები არის ის არჩევნები, სადაც სწორედაც ქვეყნის მომავალი მთავრობა, ზოგადად ხელისუფლება ირჩევა. ამიტომ ეს არ გახლავთ რიგითი არჩევნები. ოქტომბერში ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები გველოდება.

– ვის რა შანსები აქვს ამ არჩევნებზე? ვის გაუჭირდება ბარიერის გადალახვა?

– ბარიერს გადალახავენ „ქართული ოცნება“, ნაციონალური მოძრაობა, ალასანიას პარტია.

– რესპუბლიკელები?

– რესპუბლიკელებიც, ალბათ, გადალახავენ. მათ მარჯვედ გამოიყენეს ეს 4 წელი. რეგიონებში წარმომადგენლობები შექმნეს, რადგან მათ თბილისში ნაკლები შანსი აქვთ, ვიდრე რეგიონებში და ეს ანალიზი გააკეთეს. რესპუბლიკელების მიმართ ანტაგონიზმი განსაკუთრებით ძლიერია თბილისში. აქ ხალხს მათი ნეოლიბერალიზმი აცოფებს.

– რეგიონებში არა?

– რეგიონებში ბევრმა არც იცის იდეოლოგია, ლიბერალიზმი და ნეოლიბერალიზმი. აქცენტები რეგიონებში უფრო სხვა რამეზე კეთდება, ვიდრე იდეოლოგიაზე.

– ბურჯანაძის პარტია და პატრიოტთა ალიანსი?

– დიდი ალბათობით, გადალახავენ. ალბათ, ამ ფლანგზე საარჩევნო ბლოკს ვიხილავთ.

– მრეწველები მიანიშნებენ ინა შვილთან სა-ერთო ღირებულებებზე. ისინი დაჯგუფდებიან?

– აქ მნიშვნელოვანი იქნება, რამდენად შეთანხმდებიან კვოტებზე. ინაშვილს თავისი აქტივი ჰყავს, მრეწველებს – თავისი, ამიტომ მოლაპარაკების საგანი იქნება, ვის რამდენი ადგილი ერგება.

წინასაარჩევნოდ პოლიტიკურ ძალებს შორის სწორედ ეს არის უმთავრესი მოლაპარაკების საგანი – ვის რამდენი ადგილი ექნება და ვინ რამდენს გაიყვანს. თუ ვერ შეთანხმდებიან, ასეთი ერთობა ვერ შედგება. ალბათ, ბარიერს გადააღახვინებენ ბურჭულაძეს, მაგრამ, არა მგონია, პაატა ბურჭულაძე თვეობით იჯდეს პარლამენტში და სისულელეები ისმინოს.

– ძალიან ბევრის საუბრობენ იმაზე, რომ არჩევნებში გამარჯვებული ძალები დააკომპლექტებენ სამთავრობო კოალიციას.

– მე ასე არ ვფიქრობ, რადგან ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, ვის რა პროცენტული მაჩვენებელი ექნება. ვინც გაიმარჯვებს, სწორედ ის გადაწყვეტს, რა და როგორ იქნება. ალბათ, ფასეულობები ისევ უკანა პლანზე გადაიწევს და მოვლენებიც პირადი სიმპათია-ანტიპათიით განვითარდება.

კიდევ ერთი: პარტიები გვეუბნებიან, რომ საარჩევნო სიებში ცნობადი სახეები არ იქნებიან და აქცენტი პროფესიონალ იურისტებზე, ეკონომისტებზე გაკეთდება, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ჩვენი პოლიტიკოსები ამ ცდუნებას ვერ გაუძლებენ და ისევ გვეყოლებიან მუსიკოსი, მსახიობი დეპუტატები.

პარლამენტი ყველა არჩევნების შემდეგ უარესდება. პარლამენტის შემადგენლობა გაცილებით უკეთესი იყო, მაგალითად, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს. ცხადია, ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ვგულისხმობ.

– ბატონო სოსო, რა გავლენას იქონიებს საარჩევნო პროცესზე ფარული ჩანაწერების გავრცელების ფაქტები და შემდეგ უკვე პროკურატურის მიერ კუდის ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავება?

– პროკურატურამ რამდენიმე პირი უკვე დააკავა, თუმცა ჯერჯერობით დაკავებული არ არის გამავრცელებელი. პროკურატურის მხრიდან ეს არის სიგნალი, მაგრამ ჯერ არ შეიძლება ვთქვათ, რომ საქმე ბოლომდეა მიყვანილი. სანამ არ გაირკვევა, ვინ იყო დამკვეთი, რატომ აკეთებდნენ ასეთ უკანონო ჩანაწერებს და ვინ გაავრცელა, კითხვის ნიშნები იქნება და მათ პასუხები უნდა გასცეს შესაბამისმა უწყებამ.

მთავარმა პროკურატურამ საზოგადოებას ყველაფერი უნდა აუხსნას. აქ არ გამოადგებათ ისეთი პასუხი, როგორიცაა „გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ვერ ვიტყვით“. რა დოზითაც შეიძლება ინფორმაციის მიწოდება, მიწოდებულ უნდა იქნეს ხალხისთვის და ეს ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ არჩევნების კონტექსტშიც.

საზოგადოება მსგავს სისაძაგლეზე ადეკვატურად რეაგირებს. ეს არჩევნები იქნება ყველაზე არაჯენტლმენური და ბინძური, რადგან პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები იქნება ჩართული. რაც აქამდე გამოქვეყნდა, მხოლოდ ყვავილებია. ნაყოფი იქნება მაშინ, როდესაც წინასაარჩევნო კამპანია ეშხში შევა.

– ამ დაკავების შემდეგ კიდევ უნდა ველოდოთ ასეთ ჩანაწერებს?

– თუ ჩვენმა უშიშროებამ გავრცელების წყარო აღმოაჩინა და შესაბამისი რეაგირებაც მოახდინა, მაშინ. ალბათ – არა.

რაზე ისაუბრეს დახურულ შეხვედრაზე

პრემიერ-მინისტრის კომენტარი

პრემიერის თქმით, არჩევნებისა და საარჩევნო კამპანიის დაწყების თარიღთან დაკავშირებით კონსულტაციები გრძელდება და ის გადაწყვეტილებას ამ კონსულტაციების დასრულების შემდეგ მოაწერს ხელს.

პარლამენტში დახურულ კარს მიღმა გამართულ თათბირთან დაკავშირებით კომენტარი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გააკეთა. მისი თქმით, შეხვედრაზე განხილვის თემა საკანონმდებლო ინიციატივები იყო.

– განხილვის თემა იყო საკანონმდებლო ინიციატივები, რომლის ნაწილი უკვე გაგზავნილია მთავრობის მხრიდან. ნაწილი მომავალ დღეებში უნდა შევიდეს. ამ ნაწილში საჭიროა კოორდინაცია. მიუხედავად იმისა, რომ კოალიციაში შეიძლება იყოს ცვლილებები იმ კუთხით, რომ საარჩევნო პერიოდში გადაწყვეტილებებს იღებენ პარტიები, მაინც ვფიქრობ, რომ გარკვეული კოორდინაცია საჭირო იქნება და ამაზე იყო საუბარი, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის თქმით, არჩევნებისა და საარჩევნო კამპანიის დაწყების თარიღთან დაკავშირებით კონსულტაციები გრძელდება და ის გადაწყვეტილებას ამ კონსულტაციების დასრულების შემდეგ მოაწერს ხელს:

– ჩვენ ტექნიკურ და იურიდიული სახის დეტალებზე კონსულტაციებს გავდივართ. ამაში არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ არჩევნები 8 ოქტომბერს ჩატარდეს. როდის გამოქვეყნდება ეს იგი, ამაზე ვისაუბრებთ და მივიღებთ გადაწყვეტილებას, – აღნიშნა პრემიერმა.

ნიუპოსტი

„ნაციონალები, ალასანია და ოქრუაშვილი იგორ გიორგაძის დავალებით მოქმედებენ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– გასაგებია, რომ პრეტენზიები არ გაქვთ, მაგრამ გითვალთვალებენ თუ არა?

– დისტანციურად არიან ჩემთან, ტელეფონს მითიშავენ ხოლმე ხანდახან საუბრის დროს.

– პრეტენზია რატომ არ გაქვთ ამაზე, მაინც ვერ გავიგე.

– სპეცსამსახურები იმისთვის არსებობს, რომ მათ ქვეყნის უსაფრთხოება დაიცვან. პოლიტიკოსებს ბევრი ცუდის ჩადენა შეუძლიათ და ამის აღკვეთა აუცილებელია. მე არ ვამბობ, რომ ჩვენს პირად ცხოვრებაში უნდა შემოიხედონ, მაგრამ რაღაცის აზრზე უნდა იყვნენ. ვინმეს რამე საეჭვოს თუ შენიშნავენ, ნებართვა უნდა აიღონ და თვალთვალი განახორციელონ.

ამ თვალთვალზე დიდი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ კომპიუტერზე მექმნება პრობლემები. 9 აპრილს რაღაცის დაწერა მინდოდა ფეისბუქზე და სტატუსის გამოქვეყნება არ მაცალეს. ასეთ მნიშვნელოვან დღეებში სულ ასე ვარ. დავწერ რაღაცას, ის-ისაა, სტატუსი უნდა გამოვაქვეყნო, რომ ჩემს გვერდს პრობლემა ექმნება. ეს უკვე რამდენიმე თვეა, რაც გრძელდება.

– მეორედ რომ ცადოთ დაწერა?

– მეორედ რანაირად უნდა ვცადო? ის იმ წამში ნაფიქრია, პოეტი ხომ არ ვარ, ეს მუზები ყოველ წუთს მოვიდნენ. აი, ამაში ნამდვილად მიშლიან ხელს.

– გამოდის, რომ მუზებს გიფრთხობენ?

– მუზებს მიფრთხობენ, თან რა მუზებს! იცით, რა გულწრფელ რაღაცებს ვწერ ხოლმე და ესენი კი მიშლიან.

– ხელისუფლება ყველაფერს ნაციონალებს აბრალებს და თქვენს ფეისბუქ-სტატუსებსაც ეგენი ხომ არ შლიან?

– რაის ნაციონალები, თუ ღმერთი გწამს. მართლა ეგენი თუ აკონტროლებენ სპეცსამსახურებს, მაშინ კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. გამოდის, რომ მათ ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ. ამ ბრალდებებით ყოფილი ხელისუფლების ავტორიტეტს ვზრდით. ფეისბუქზე რომ შევდივარ, გული მისკდება, სულ მაგათზე მიდის საუბარი. აბა, ერთი თვე არ ვახსენოთ, ნახავთ, როგორ გაქრებიან. ანდა რას გაქრებიან, ამერიკა და რუსეთი მატროსოვიანი არიან მათზე გადაფარებული.

– ორივე ერთნაირად რანაირად უნდა იყოს გადაფარებული?

– რანაირად და ჩვეულებრივად. ეს ორი ქვეყანა საქართველოს ყოფილი ხელისუფლების დახმარებით იყოფს. საბედნიეროდ, ხალხს ეს ყველაფერი გაშიფრული აქვს.

– ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავების შემდეგ თქვენ მოითხოვეთ, რომ ხელისუფლებამ სომხეთითა და აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში კონტროლი გააძლიეროს. რამე პრობლემები შეიქმნა?

– ამ ეტაპზე არანაირი პრობლემა არ შექმნილა, მაგრამ, ხვალ რა მოხდება, არ ვიცით. დღეს ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავება ჩვენ სასარგებლოდ უნდა გამოგვეყენებინა. დღეს თავდაცვის მინისტრად დათო რომ ყოფილიყო თევზაძე, ამ შანსს აუცილებლად გამოიყენებდა. ის შეიარაღებული ძალების გაძლიერებას მოითხოვდა და ამას გააკეთებდა კიდევაც.

საქართველოს თავდაცვის სისტემა შვეიცარიულ მოდელზე უნდა გადავიდეს. მერე აქ ვერავინ ვეღარ შემოყოფდა ცხვირს, მაგრამ ამის გაკეთება აწყობს ვინმეს? 9 აპრილს ფეისბუქზე ჩემი ნააზრევი არ დამაწერინეს და სხვების პოსტების წაკითხვა მომიხდა. ბევრი ლამაზლამაზი სიტყვა იყო, წერდნენ, მართალია, სისხლი დავღვარეთ, მაგრამ თავისუფლება ხომ მოვიპოვეთო. 1991 წლის 9 აპრილს მართლაც გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ რამდენი ხანი გასტანა ამან? თუ ვინმეს ჰგონია, რომ ახლა დამოუკიდებლები ვართ, ძალიან შემცდარა.

– დამოუკიდებლები რატომ არ ვართ?

– ამერიკის ელჩი რომ გეყოლება ცეკას მდივნის შემცვლელად, ესაა დამოუკიდებლობა? იმისთვის ვიბრძოლეთ, რომ ერთი პატრონი მეორით ჩაგვენაცვლებინა? დამოუკიდებლობა ნიშნავს იმას, რომ ყველასგან დამოუკიდებელი უნდა იყო.

– მოდით, ისევ სომხებისა და აზერბაიჯანელების თემას დავუბრუნდები. ქვემო ქართლის რეგიონში ორივე ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ და რამდენად ვართ დაცული, რომ მათ შორის კონფლიქტი არ მოხდება?

– ჯერჯერობით აქ სიმშვიდეა და არა მგონია, რაიმე გართულებას ჰქონდეს ადგილი. სამაგიეროდ, შიდა ქართლი და კონკრეტულად გორის რაიონი ხდება ცხელი წერტილი.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ სპეცსამსახურები გორში ოქრუაშვილს, ალასანიასა და ნაციონალებს აძლიერებენ. ახლა გეკითხებით, ვინ ჩააბარა კოდორი და ახალგორი? ეს სამეულია ამაში გარეული. გორი კონფლიქტის ზონის სიახლოვეს მდებარეობს და ამ საეჭვო ხალხის გაძლიერება შემთხვევითი ამბავი არ არის.

ოქრუაშვილმა გორზე ფაქტიურად კონტროლი დაამყარა, რაზეც ნაციონალებს ხმა არ ამოუღიათ. არადა, მათ შორის თითქოს დიდი დაპირისპირება იყო. ახლანდელი პროცესები ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ყოველთვის ერთად იყვნენ და მათი დაპირისპირება იყო სპექტაკლი, ისევე, როგორც ალასანიასა და რესპუბლიკელების უთანხმოება სააკაშვილთან.

ეს პარტიები მოსკოვიდან იმართებიან, ნაციონალური მოძრაობა კი სულაც მოსკოვში მყოფმა ერთ-ერთმა ქართველმა შექმნა.

– მის ვინაობას დაასახელებთ?

– რა დასახელება უნდა, იგორა გიორგაძეა. ეგ აფინანსებს რესპუბლიკურ პარტიას და ეგვე კურირებს ალასანიას პარტიასაც. თავისუფალი დემოკრატების წევრთა 98%-მაც კი არ იცის, რომ მათი პარტიის რეალური ლიდერი არა ალასანია, არამედ იგორ გიორგაძეა.

ვისაც ვისთან უნდა, იმასთან ითანამშრომლოს, ამის აკრძალვას ვეწინააღმდეგები, მაგრამ ერთი მოთხოვნა მაქვს – თანამშრომლობა იყოს ღია.

– თუ იტყვიან, გიორგაძესთან ვთანამშრომლობთო, პრობლემა მოიხსნება?

– მოიხსნება. გეცოდინება, ვინ ვისთან თანამშრომლობს და რისკებსაც გაითვალისწინებ. ფარულად როცა ეთანამშრომლები ვიღაცას, მისი აგენტი გამოდიხარ. აგენტებს კი საზიზღრობებს აკეთებინებენ.

როგორც კი რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე დაიწყება საუბარი, იგორ გიორგაძე ნაციონალებს ააყვირებს ხოლმე და ყველაფერი იშლება. საქართველოსა და რუსეთს შორის თუ ვინმეს არ სურს ურთიერთობების მოგვარება, ეს გიორგაძეა.

– წესით, ეს ყველაზე მეტად უნდა შედიოდეს მის ინტერესებში.

– მის ინტერესებში მოსკოვსა და თბილისს შორის გამუდმებული კონფლიქტია. როგორც კი ურთიერთობები მოგვარდება, იგორა რუსეთში არავისთვის საჭირო აღარ იქნება. ამიტომ აყვირებს ხოლმე ასე მწარედ ნაციონალებს, რესპუბლიკელებსა და ალასანიას. ახლა ოქრუაშვილმაც მოიმაგრა პოზიციები და ისიც აჰყვება ამათ.

მაგათი მფარველები და გეგმები გაშიფრულია და მე ახლა იმის მეშინია, საქართველო ორად არ გაიყოს. ეს გეგმა დიდი ხანია აქვთ რუსებს. ყარაბაღის კონფლიქტში რუსეთი ჩართულია და საჭირო თუ გახდება, ჯარებსაც შეიყვანს. დაბომბვით, კასპიის ზღვიდანაც შეუძლიათ სასურველი ტერიტორიების დაბომბვა, მაგრამ სახმელეთო ოპერაციაზეც არ იტყვიან უარს. სომხეთში რომ მოხვდნენ, საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაიარონ.

ცხინვალში აქვთ სამხედრო ბაზა და გადმოისვრიან თავიანთ მე-18 თუ რაღაც 58-ე არმიას და გაჭრიან საქართველოს შუაზე. ისედაც ავტობანამდე არიან ჩამოსული. ამერიკა რომ მაგათი გამჩერებელი არაა, ეს ყველამ კარგად იცის. მოსკოვისა და ვაშინგტონის მთავარი მიზანი საქართველოს შუაზე გაყოფაა. ჩვენ ამას უნდა დავაღწიოთ თავი და მართლა დამოუკიდებელი ქვეყანა ავაშენოთ.

აფხაზეთი შეიძლება ანგოლამაც აღიაროს?

მარიამ მჭედლიშვილი

საერთაშორისო თანამეგობრობა ატარებს არაღიარების პოლიტიკას და ანექსირებულ აფხაზეთს საქართველოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, აფხაზეთი სახელმწიფოდ არცერთ სახელმწიფოს არ უცვნია. აქედან გამომდინარე, აფხაზეთში ოფიციალური დელეგაციები არ ჩადიან.

ეს წესი ცოტა ხნის წინ ანგოლამ დაარღვია, როცა ანგოლის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური ოლქის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი სიმაო ვალა აფხაზეთს ეწვია.

მან აფხაზეთი რამდენჯერმე მოიხსენია სახელმწიფოდ.

– ძალიან მომეწონა თქვენი ქვეყანა. აუცილებლად კიდევ ჩამოვალ. ვფიქრობ, ჩემი ქვეყნიდან იქნებიან ოფიციალური დელეგაციებიც. ჩვენ უნდა გავამყაროთ ურთიერთობები. თქვენი ქვეყანა მოცულობით პატარაა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ეს სახელმწიფოა. ჩვენი მეგობრული ურთიერთობები მხოლოდ იკიდებს ფეხს, – განუცხადა ანგოლის სამხედრო მაღალჩინოსანმა საოკუპაციო რეჟიმის პრემიერ-მინისტრ არტურ მიქვაბიას.

მიქვაბიამ, თავის მხრივ, გაიხსენა, თუ რა სიძნელეები გადაიტანა ანგოლამ, მაგრამ მან მოახერხა სამოქალაქო შედეგების დაძლევა და ახლა დინამიკურად ვითარდება.

– ჩვენი ურთიერთობები გაღრმავდება, – აღნიშნა დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ.

ეს შეხვედრა რომ უფრო ადრე შემდგარიყო, აფხაზეთის რეჟიმი უვიზო მიმოსვლას ანგოლის მოქალაქეებთანაც დააწესებდა.

1 აპრილიდან აფხაზეთში სავიზო რეჟიმი შემოიღეს. გამონაკლისი დაიშვა მხოლოდ იმ ქვეყნებისა და წარმონაქმნებისთვის, რომლებმაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარეს ან რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი შეთანხმებები. ესენია: რუსეთი, ნიკარაგუა, ტუვალუ, სამხრეთ ოსეთი, ასევე დნესტრისპირეთი, დონეცკი და ლუგანსკი.

ადრინდელი ინფორმაციით, უვიზო მიმოსვლა უნდა ყოფილიყო ასევე ნიკარაგუასთან, ვენესუელასთან და ნაურუსთან.

აფხაზეთში ვიზის მისაღებად მოქალაქეს

შეუძლია, ელექტრონული ფოსტით გააგზავნოს განაცხადი დე ფაქტო საგარეო საქმეთა საკონსულო სამსახურში. ვიზის მისაღებად მაქსიმუმ ერთი კვირაა საჭირო.

ვიზების დაწესების პარალელურად, აფხაზეთში ტურიზმის განვითარებას ცდილობენ. არსებობს მთელი წლის განმავლობაში ტურისტების მოზიდვის ინიციატივა. აფხაზეთის ახლანდელი ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ აფხაზეთს ტურიზმის სფეროში თავისი ნიშა უნდა ჰქონდეს – ბალნეოლოგია და კურორტოლოგია.

დღემდე აფხაზეთში დასასვენებლად მხოლოდ რუსეთიდან ჩადიან. საკურორტო სეზონი დაახლოებით 3 თვე გრძელდება. ზამთარში დამსვენებლების მიღება ძალიან შორეული პერსპექტივა უნდა იყოს.

სხვა ქვეყნებიდან აფხაზეთში ჩასვლა გართულდა როგორც ტურისტების, ისე დროებითი სამუშაოს მაძიებლებისთვის.

რაულ ხაჯიმბამ ჯერჯერობით ვერ შეძლო დანაპირების შესრულება ტურიზმის სფეროს აყვავების თაობაზე.

აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებში აცხადებენ, რომ მოსკოვი ხაჯიმბას აღარ ენდობა და მის შესაცვლელად ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებას იყენებს.

ამ კამპანიის ნაწილია რეფერენდუმის მომზადება. ამომრჩეველმა რეფერენდუმზე უნდა გამოხატოს აზრი, უნდა თუ არა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება.

სირიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე, ვახა ბუგიევი, დაიღუპა

სირიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე, პანკისის ხეობის მკვიდრი, 39 წლის ვახა ბუგიევი დაიღუპა. ბუგიევი ტერორისტული დაჯგუფების რიგებში იბრძოდა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, საქართველოდან სირიაში ის 2015 წელს წავიდა.

ბუგიევი პანკისის ხეობის სოფელ წინუბანში ცხოვრობდა, სადაც მას ცოლი და სამი შვილი დარჩა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტი იტყობინება პანკისის ხეობიდან, ოჯახის წევრებმა ვახა ბუგიევის გარდაცვალების შესახებ 9 აპრილს, გვიან ღამით გაიგეს.

ვახა ბუგიევი 2012 წელს ლოპოტის სპეცოპერაციის საქმეშიც ფიგურირებდა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, შეიარაღებული ჯგუფის წევრები სოფელ ლაფანყურის გავლით, ლოპოტის ხეობაში „ჯიპის“ მარკის ავტომობილით შევიდნენ, რომელიც ვახა ბუგიევის საკუთრება იყო.

ახლობლებისთვის უცნობია, როგორ მოახერხა ვახა ბუგიევმა 2015 წელს საქართველოს საზღვრის გადაკვეთა, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა და მეორე მხრივ, იმიტომ, რომ პანკისის ხეობაში მცხოვრებთათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ან გადმოკვეთა გართულებულია.

ვახა ბუგიევი ეთნიკური ჩეჩენი იყო. საქართველოში ის აზერბაიჯანიდან 2000 წელს შემოვიდა და ერთი წლის განმავლობაში ლტოლვილის სტატუსით სარგებლობდა. 2001 წელს მას ეს სტატუსი ავტომატურად მოეხსნა ხელახალი რეგისტრაციის არგავლის გამო. 2003 წელს ქართველმა სამართალდამცავებმა ვახა ბუგიევი სოფელ ომალოში დააკავეს (მას ომალოელი მეუღლე ჰყავს) და ბრალი საზღვრის უკანონო გადმოკვეთისთვის წაუყენეს.

სირიაში საბრძოლო მოქმედებებში უკვე 15 პანკისელი დაიღუპა. ბუგიევის გარდაცვალებამდე ბოლო ორი მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია 2016 წლის იანვარში გავრცელდა. საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპნენ 24 წლის რამზან ფარეულიძე, რომელიც სირიაში წასვლამდე სოფელ ბირკიანში ცხოვრობდა და სოფელ ომალოს მკვიდრი, 22 წლის მუხმად თურქოშვილი. ორივე მათგანი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში იბრძოდა.

რამზან ფარეულიძე სირიაში დაახლოებით ერთი წლის წინ იყო წასული. მანამდე ის თელავში სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე. სწავლა მესამე კურსიდან შეწყვიტა. სირიაში წასვლის შემდეგ მისი ოჯახის წევრები რამზანის საქართველოში დაბრუნებას ცდილობდნენ. დედამისი სირიაში ჩავიდა კიდეც, მაგრამ შვილი საქართველოში დაბრუნებაზე ვერ დაითანხმა. 2015 წელს რამზანს პანკისიდან საცოლე ჩაუყვანეს, 20 წლის გოგონა, რომელიც სოფელ ძიბახევში ცხოვრობდა.

რაც შეეხება მუხმად თურქოშვილს, ისიც პანკისიდან სირიაში დაახლოებით ერთი წლის წინ იყო წასული. მანამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის თურქეთში ცხოვრობდა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად. მუხმად თურქოშვილს პანკისში ცოლი და ერთი შვილი დარჩა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

ბაბუშერის აეროპორტში დაღუპული 12 მებრძოლი სამხედრო პატივით დაკრძალეს

აფხაზეთის ომის დროს ბაბუშერის აეროპორტში დაღუპული 12 მებრძოლი გუშინ სამხედრო პატივით დაკრძალეს. 1993 წლის სექტემბერში თვითმფრინავის აფეთქების დროს დაღუპულთაგან 9 მებრძოლი დიღმის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს, სამი კი საგვარეულო სასაფლაოებზე მიაბარეს მიწას. დაკრძალვის ცერემონიას, დაღუპულთა ოჯახის წევრებთან ერთად, დედაქალაქის მერი დავით ნარმანია, დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი და თავდაცვის მინისტრის მოადგილე დავით ებრალიძე დაესწრნენ.

დაკრძალვის ცერემონიამდე სამების საკათედრო ტაძარში დაღუპული მებრძოლების სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა. პანაშვიდზე იმყოფებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, მთავრობის წარმომადგენლები და პოლიტიკური პარტიების წევრები.

ამ დროისათვის ბაბუშერის აეროპორტში დაღუპული კიდევ 208 მებრძოლის იდენტიფიცირების პროცესი მიმდინარეობს.

მედიანიუსი

ილჰამ ალიევი: „აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამმხრივი ფორმატი რეგიონული უსაფრთხოებისთვის აუცილებელია“

აზერბაიჯანი-ირანი-რუსეთის, ისევე, როგორც აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამმხრივი ფორმატი რეგიონული უსაფრთხოებისთვის აუცილებელია.

ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში ვითარება დაიძაბა და შეიარაღებული დაპირისპირება განახლდა. თუმცა, მოგვიანებით მხარეებმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიაღწიეს. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის და მთიანი ყარაბაღის ე.წ. მთავრობა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევაში ერთმანეთს ადანაშაულებენ.

მედიანიუსი

ირაკლი ალასანია: „ხელისუფლება ისევ გვითვალთვალებს“

პარტია თავისუფალი დემოკრატების ლიდერ ირაკლი ალასანიას განცხადებით, აბსოლუტურად ორივე ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, რომ პოლიტიკაში, რეალობაში, ბინძური წესით თამაში გრძელდება.

როგორც ალასანიამ საკითხის კომენტირებისას ჟურნალისტებთან აღნიშნა, უკანონო ფარული მიყურადების სისტემური დანაშაული ჩამოყალიბდა და ორგანიზებული იყო წინა ხელისუფლების დროს, თუმცა სამწუხაროდ, ოპონენტების წინააღმდეგ მუშაობა ამ მეთოდებით მოქმედმა ხელისუფლებამაც გააგრძელა.

– სამწუხაროა, რომ 2012 წელს ხელისუფლებაში, რომელშიც მეც ვიყავი და ერთად შევცვალეთ რეჟიმი, გააგრძელეს ამ მეთოდებით ოპონენტების წინააღმდეგ მუშაობა. დღეს მე შემიძლია ვთქვა, რომ აბსოლუტურად ორივე ხელისუფლების პასუხისმგებლობაა ის, რომ პოლიტიკაში, რეალობაში, ასეთი ბინძური ხერხით თამაში გრძელდება. ამას წერტილი უნდა დავუსვათ და საზოგადოება მაშინ შევდგებით, თუ მოვახერხებთ ისეთი პოლიტიკური ნების ხელისუფლების არჩევას, რომელიც ამას აღარ გააგრძელებს. ოქტომბერი ამის შანსს აძლევს ყველას, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მედიანიუსი

„ჩვენმა ბრძოლამ პირველი შედეგი მოიტანა“

სააკაშვილი იაცენიუკის გადადგომას გამოეხმაურა

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი გუშინ, 10 აპრილს, არსენ იაცენიუკის უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგომას ფეისბუქში ორ ენაზე – უკრაინულად და რუსულად – გამოეხმაურა.

მიხეილ სააკაშვილი წერს, რომ უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსთან მართავდა შეხვედრას, როდესაც პოროშენკოს იაცენიუკის გადადგომაზე განცხადება შეუტანეს.

– ჩვენმა ბრძოლამ პირველი შედეგი მოიტანა. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, შეშფოთების საფუძველი საკმარისზე მეტი მაქვს, კულისებს მიღმა გარიგებებისა და შეხვედრების ფონზე, – წერს სააკაშვილი ფეისბუქში.

მასალა იაცენიუკის გადადგომის შესახებ ნახეთ გაზეთის მე-8 გვერდზე.

სოფელ კირბალიდან რუსმა სამხედროებმა მამაკაცი გაიტაცეს

ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრედ მდებარე სოფელ კირბალის განაპირას რუსმა სამხედროებმა ადგილობრივი მცხოვრები, 44 წლის ეროსი თაყაძე დაიკავეს.

დაკავებულის დედის განცხადებით, ეროსი თაყაძე ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდა და პირუტყვს მწყემსავდა, რა დროსაც შეიარაღებული პირები გამოჩნდნენ და გაიტაცეს.

როგორც დაკავებულის ოჯახის წევრებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, ეროსი თაყაძე ადრეც იმყოფებოდა ცხინვალის მილიციის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში იმავე ბრალდებით, მაშინ 10-დღიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს. დაკავებულის ოჯახში გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ონიაშვილი იმყოფებოდა.

მისი განცხადებით, ყველა სახელმწიფო უწყება ჩაყენებულია საქმის კურსში მომხდართან დაკავშირებით, მათ შორის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზიც და მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები, რომ დაკავებულის გათავისუფლება უმოკლეს დროში მოხერხდეს.

ონიაშვილიც ადასტურებს, რომ ეროსი თაყაძე დაკავებისას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

მედიანიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

საქართველოში მანქანებზე მოთხოვნა შემცირდა

საქართველოში ავტომობილებზე მოთხოვნა შემცირებულია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მარტში, თებერვალთან შედარებით, სატრანსპორტო საშუალებების შეძენის ჯგუფზე ფასი 7,4%-ით შემცირდა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი ღირებულება 11,1%-ითაა შემცირებული.

ავტოდილერების ინფორმაციით, ავტომობილების გაიაფების მიზეზი დაბალი მოთხოვნა და მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვის რეგულაციაა, რომელიც მომავალი წლიდან უნდა ამოქმედდეს.

როგორც „კავკასიის ავტოიმპორტის“ ხელმძღვანელი გიორგი სურგულაძე „კომერსანტთან“ აცხადებს, ავტომობილებზე ფასების შემცირება ჭარბმა მიწოდებამ და მოთხოვნის დაბალმა მაჩვენებელმა განაპირობა.

ავტოიმპორტიორი ჭარბ მიწოდებას უკავშირებს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვის რეგულაციის გადავადებასაც.

– დილერები წავიდნენ და ჩამოიყვანეს მარჯვენასაჭიანი მანქანები, რომ შექმნან მარაგები და შემდგომ ძვირად გაყიდონ. ვისაც ჩამოჰყავდა 10 მანქანა, ახლა ჩამოიყვანა 50 და ახლა გადავსებულია ბაზარი, – აცხადებს გიორგი სურგულაძე.

მისივე თქმით, ყველაფერთან ერთად, ჭარბი მიწოდება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ დილერები მანქანებს წინსწრებით უკვეთენ და ავტომობილები რამდენიმე თვის შემდეგ ჩამოდის, ამ დროის განმავლობაში კი მოთხოვნა მანქანებზე შემცირდა.

სურგულაძე მოთხოვნის შემცირებას სეზონურობასაც უკავშირებს და ამბობს, რომ გაზაფხულიდან ბაზარი ნელ-ნელა გამოცოცხლდება და ამის ნიშნები უკვე შეიმჩნევა.

ფასების შემცირებას მაიქარ.გეს დირექტორი დავით რეხვიაშვილიც ადასტურებს.

მისი თქმით, ბაზარზე სომხეთისა და აზერბაიჯანის რეექსპორტის წილი მკვეთრად შემცირებულია, შედეგად, მოთხოვნამაც დაიკლო.

– ავტომობილების ფასი ადგილზეც შემცირებულია და ამას ემატება ჩვენთან მოთხოვნის შემცირება, რადგან აზერბაიჯანსა და სომხეთს პრაქტიკულად უკვე ძალიან პატარა წილი აქვთ ჩვენს ბაზარზე, – აცხადებს დავით რეხვიაშვილი.

მისი თქმით, აზერბაიჯანში რეექსპორტის შემცირება ევრო 4-ის სტანდარტის შემოღებამ განაპირობა, სომხეთზე კი ქვეყანასა და რეგიონში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა აისახა.

სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე

„ეს შენ გეხება“ პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავს

კამპანია „ეს შენ გეხება“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით მიმართავს. როგორც კამპანიის მიერ გავრცელებულ მიმართვაშია ნათქვამი, არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტის თავმჯდომარეს ამ მიმართულებით რეფორმების განხორციელების საკითხის განხილვას სთავაზობენ. მათი თქმით, ისინი მზად არიან შეხვდნენ როგორც უსუფაშვილს, ასევე პრემიერ-მინისტრსაც. „ინტერპრესნიუსი“ მიმართვას უცვლელად გთავაზობთ:

– მოგმართავთ კამპანია „ეს შენ გეხება“ და მასში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით. როგორც მოგეხსენებათ, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების ინიციატივით მიმდინარე კამპანია რამდენიმე წელია ითხოვს პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით ქვეყანაში ეფექტური საკანონმდებლო რეფორმების განხორციელებას, პირადი ცხოვრების ხელყოფის სისტემური დანაშაულის გამოძიებას, დანაშაულში ჩართული პირების, ისევე როგორც, დანაშაულებრივი სისტემის შექმნისთვის გამოყენებული მეთოდების გამოვლენას და მათგან სამართალდამცავი სისტემის გათავისუფლებას.

გასულ წლებში პოლიტიკური ოპოზიციის, სამოქალაქო აქტივისტების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ განხორციელებული უკანონო თვალთვალისა და მიყურადების ორგანიზებული პრაქტიკა, პოლიტიკური შანტაჟისა და ტოტალური კონტროლის მეთოდები პრობლემის სისტემურ და ფართომასშტაბიან ხასიათზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივად აქტიური პირები კვლავაც საუბრობენ მათ მიმართ უკანონო თვალთვალისა და შანტაჟის განხორციელების ფაქტებზე. ხსენებული გარემოებები მიუთითებს, რომ ბოლო წლებში გატარებულმა საკანონმდებლო და ინსტიტუციურმა ცვლილებებმა სრულყოფილად ვერ უპასუხა არსებულ გამოწვევებს და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საკითხი კვლავ კრიტიკულ გამოწვევას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, წლების განმავლობაში მიმდინარე გამოძიებამ ჯერ კიდევ ვერ გასცა პასუხი სისტემურ დანაშაულს და მასთან დაკავშირებულ კითხვებს. დაუსჯელობამ კი ახალი დანაშაულების ჩადენა წაახალისა. ბოლო პერიოდში საგამოძიებო ორგანოების გააქტიურება კი, რასაც რამდენიმე პირის პასუხისგებაში მიცემა მოჰყვა, საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების და აქტიურობის შედეგია.

თუმცა, კონკრეტული საქმეების დროულ გამოძიებასთან ერთად, მიგვაჩნია, რომ დანაშაულებრივი პრაქტიკის და პირადი ცხოვრებით შანტაჟის დასრულებას მყარი პოლიტიკური ნება და გარდამტეხი სამართლებრივი ცვლილებები ესაჭიროება. ამისათვის კი საჭიროა:

• ფარული თვალთვალისა და მიყურადების მოქმედი სისტემის ძირეული რეფორმა;

• სამართალდამცავი სისტემის დაუსჯელობის პრობლემის მოსაგვარებლად დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნა;

• უსაფრთხოების სისტემაში რეფორმების გაგრძელება და საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება;

კამპანია აქტიურად მუშაობს თითოეული ხსენებული მიმართულებით დეტალური სამართლებრივი რეგულირების შემუშავების მიზნით. ამასთან, როგორც ცნობილია, რამდენიმე კვირის წინ, კამპანიამ საჯაროდ გააჟღერა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის სურვილი. კამპანიას კვლავაც მიაჩნია, რომ ხსენებული სისტემური პრობლემის მოგვარებისთვის საჭიროა ნათელი პოლიტიკური პოზიციის გამოხატვა უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირების მხრიდან.

გამომდინარე აქედან, მოგმართავთ თხოვნით, დაინტერესდეთ და დრო დაუთმოთ კამპანიის წარმომადგენლებთან ერთად შემდგომი რეფორმების განხორციელების საკითხის განხილვას. კამპანია კიდევ ერთხელ გამოხატავს მზადყოფნას უახლოეს პერიოდში შეხვდეს საქართველოს მთავრობის მეთაურს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, – ნათქვამია მიმართვაში.

ინტერპრესნიუსი

მაისიდან ბენზინის ხარისხის კონტროლი დაიწყება

ბენზინისა და დიზელის ხარისხობრივ კონტროლს სახელმწიფო მაისიდან დაიწყებს.

გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის სინჯებს აიღებენ და მას ლაბორატორიულ ანალიზს ჩაუტარებენ, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში კი 8 ათასი ლარით დააჯარიმებენ.

ბიზნესოპერატორები დაჯარიმდებიან იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ სარეალიზაციოდ გამოტანილი საწვავი საქართველოს დადგენილებით დაწესებულ მოთხოვნებს არ შეესაბამება. საუბარია ნავთობპროდუქტში ტყვიის, ბენზოლის, გოგირდისა და სხვა ნივთიერებების განსაზღვრულ მოცულობებზე, რომელთაც არ უნდა აჭარბებდეს სარეალიზაციოდ გამოტანილი საწვავი.

მიუხედავად იმისა, რომ დაბალხარისხიანი საწვავი გარემოს ერთ-ერთი დამაბინძურებელია და ადამიანების ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს, ამ დრომდე საწვავის კონტროლს არცერთი უწყება არ ახორციელებდა და პროდუქციის შემოწმება თავად ბიზნესის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. ამის პარალელურად კი კვლევებმა საქართველოს დედაქალაქში ჰაერის დაბინძურების კრიტიკული მაჩვენებელი დააფიქსირა.

როგორც „კომერსანტს“ გარემოს დაცვის სამინისტროს მთავარმა სახელმწიფო ინსპექტორმა ნელი კორკოტაძემ განუცხადა, საკანონმდებლო ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში უკვე შევიდა, შესაბამისად, გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლებს დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში სანქციების დაკისრების უფლება მიეცათ.

მისი თქმით, ბენზინგასამართი სადგურების შემოწმება შემთხვევითი პრინციპით მოხდება, ამასთან, ბიზნესოპერატორებს შემოწმებამდე არ გააფრთხილებენ.

ნელი კორკოტაძე ამბობს, რომ შემოწმება მთელი საქართველოს მასშტაბით გარკვეული პერიოდულობით განხორციელდება.

– პერიოდულობა არ არის გაწერილი. იქიდან გამომდინარე, თუ რას გამოვავლენთ პირველ ეტაპზე, ამის მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას, – აცხადებს ნელი კორკოტაძე.

ამასთან, მისი ინფორმაციით, დარღვევის მეორედ აღმოჩენის შემთხვევაში ჯარიმა არ იზრდება ის კვლავ 8 ათას ლარს შეადგენს.

ხარისხის კონტროლის აუცილებლობაზე საუბრობს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილიც.

მისი თქმით, ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ბოლო წლებია, საწვავის შემოწმება არ ჩატარებულა.

– ნავთობპროდუქტების მოხმარება ძალიან არის გაზრდილი, ამასთან, ადგილობრივმა წარმოებამაც დაიწყო ფუნქციონირება. გარდა ამისა, რამდენჯერმე დაფიქსირდა კუსტარული გზით ნავთობპროდუქტების დამზადების შემთხვევა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რომ ეს მონიტორინგი დაიწყოს და გავიგოთ, რეალურად რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით საქართველოში, – აცხადებს ვანო მთვრალაშვილი.

მისივე თქმით, დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვა, რადგან დაბინძურების მაჩვენებელი განსაკუთრებით თბილისშია გაზრდილი, ეს კი უარყოფითად მოქმედებს მოქალაქეების, განსაკუთრებით კი ბავშვების ჯანმრთელობაზე.

სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე

ილია II: „ერმა ღირსება არ დაკარგა და დამოუკიდებელი საქართველოს ერთგულ დამცველად დარჩა“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. პატრიარქმა გაიხსენა ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ყველა ადამიანი, რომლებმაც სიცოცხლე გაწირეს ან წვლილი შეიტანეს ქვეყნის სუვერენიტეტში.

– 25 წელი გავიდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან. ქვეყნის ისტორიისთვის ეს მცირე დროა, მაგრამ თითოეული ჩვენგანისთვის – სიცოცხლის სერიოზული ნაწილი. დამოუკიდებლობა დიდი ტვირთია, დიდი პასუხისმგებლობაა, ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოსთვის კი იგი, მით უმეტეს, ძნელად მისაღწევი და ასევე ძნელად გასავლელი გზაა; ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ამ ხნის განმავლობაში დიდი სირთულეები შეგვხვდა და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება, რასაც, სამწუხაროდ, თან ერთვის მსოფლიო კრიზისიდან მომდინარე პრობლემებიც.

ჩვენი ხალხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ხანგრძლივი გაჭირვებისა და იწროების, მიუხედავად დიდი ტკივილისა და მწუხარებისა, გავუძელით დროის გამოცდას. ერმა ღირსება და ღირებულებები არ დაკარგა და დამოუკიდებელი საქართველოს ერთგულ დამცველად დარჩა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ყოველი ადამიანი, რომლებმაც სიცოცხლე გაწირეს ან წვლილი შეიტანეს ქვეყნის სუვერენიტეტში. ღმერთმა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით, ყოველთა წმინდანთა და ჩვენი წინაპრების ლოცვით, განამტკიცოს, განაძლიეროს და თავის საზღვრებში აღადგინოს სრულიად საქართველო. გულითადად გილოცავთ დამოუკიდებლობის 25 წლისთავს, – ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში.

ნიუსპრესი

პაატა ბურჭულაძე: „სხვადასხვა ეთნიკურმა ჯგუფმა ქვეყნის განვითარებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა“

„პაატა ბურჭულაძის საქართველოს განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელი პაატა ბურჭულაძე მიიჩნევს, რომ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა ქვეყნის განვითარებაში აქტიურად უნდა მიიღონ მონაწილეობა. როგორც პაატა ბურჭულაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ძალიან ცუდია, რომ გამოუყენებელია ისეთი დიდი სიმდიდრე, რაც გვაქვს ეთნიკური მრავალფეროვნების კუთხით საქართველოში.

– აუცილებელია, რომ ყველა ამ ადამიანმა, ვინც დაბადებულია საქართველოში, იქონიოს არამარტო კულტურულ ცხოვრებაზე, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენა. ჩვენ აუცილებლად უნდა მოვითხოვოთ მათგან, რომ მიიღონ ამ ქვეყნის განვითარებაში მონაწილეობა. ეს არის ჩვენი სიმდიდრე, რომელიც გამოუყენებელია და ეს უნდა გამოვიყენოთ. მთელ მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ, რომ ეს სიმდიდრე გვაქვს, – განაცხადა ბურჭულაძემ.

პაატა ბურჭულაძის მრჩეველმა სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში აგიტ მირზოევმა კი აღნიშნა, რომ აქცია პირველი ნაწილია დაგეგმილი ღონისძიებების.

– ჩვენი მთავარი მიზანია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს და მთელ მსოფლიოს ვუთხრათ, რაოდენ მდიდარია საქართველო თავისი მრავალფეროვნებით. ქვეყნის თითოეული მოქალაქე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უნდა იღებდეს მონაწილეობას. არ უნდა გრძნობდეს სტუმრად თავს. ყველას მოვუწოდებთ იყვნენ აქტიური მოქალაქეები და ამისთვის „საქართველოს განვითარების ფონდი“ ყველაფერს გააკეთებს, – განაცხადა მირზოევმა.

◆ ◆ ◆

„ერთად ჩვენ საქართველო ვართ“ – ამ ლოზუნგით „პაატა ბურჭულაძის საქართველოს განვითარების ფონდის“ ორგანიზებით თბილისში „ცოცხალი ჯაჭვი“ მოეწყო. ეროვნულ ტანისამოსში ჩაცმული საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა ჯუმა-მეჩეთიდან სურბ-გევორქის საკათედრო ტაძრისა და სინაგოგას გავლით თბილისის ისტორიულ მუზეუმ „ქარვასლამდე“ „ცოცხალი ჯაჭვი“ შეკრეს.

აქციის ფარგლებში „პაატა ბურჭულაძის საქართველოს განვითარების ფონდის“ დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე, ფონდის სხვა დამფუძნებლებთან ერთად, სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის ტაძრებს ესტუმრა, სადაც სასულიერო პირებმა რეგიონში მშვიდობისა და ქვეყნის განვითარებისთვის ლოცვა აღასრულეს. „ქარვასლაში“ პაატა ბურჭულაძემ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს სიტყვითაც მიმართა.

ინტერპრესნიუსი

სერგი კაპანაძე: „რესპუბლიკელებისთვის ჯობდა, კოალიციას საბოლოოდ გამოჰყოფოდნენ“

„ქართულმა ოცნებამ“ პროდასავლური ძალების გაერთიანება ვერ მოახერხა“

საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე ინტერპრესნიუსი საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს, საქართველოს რეფორმების ასოციაციის თანადამფუძნებელ **სერგი კაპანაძეს** ესაუბრა.

– რესპუბლიკელებისა და ეროვნული ფორუმის გადაწყვეტილების შემდეგ არჩევნებამდე 6 თვით ადრე საქართველოში ახალი პოლიტიკური რეალობა ჩამოყალიბდა. როგორ დაახასიათებდით „ქართული ოცნების“ დაშლის შედეგს – ახალ პოლიტიკურ რეალობას, რომელიც მმართველ გუნდში რყევების შედეგად მივიღეთ?

– ახლა კოალიცია თავისი დაშლის შუა პროცესში იმყოფება. დაშლის პროცესი მაშინ დაიწყო, როცა კოალიციიდან თავისუფალი დემოკრატები გამოვიდნენ. საბოლოო დაშლა მაშინ იქნება, როცა რესპუბლიკელებისა და ფორუმის გარდა, კოალიციიდან სხვა პარტიებიც გავლენ.

ეს პროცესი წინ გადადგმული ნაბიჯია, იმიტომ, რომ არ შეიძლება, იდეოლოგიურად თანხვედრაში არმყოფი პარტიები ერთად ქმნიდნენ კოალიციას მარტო იმიტომ, რომ ისინი ვიღაცის წინააღმდეგ არიან. ამან მოიტანა პოზიტიური შედეგი ანუ ის, რომ საქართველოში არჩევნების გზით შეიცვალა ხელისუფლება. მაგრამ ქვეყნის დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში კოალიციის სახითაა წარმოდგენილი, ერთიან იდეოლოგიურ პლატფორმას იზიარებდეს.

ჩვენ თუ გვინდა, წინ ვიაროთ, ის ლიბერალური ძალები და ადამიანები, რომლებიც იზიარებენ ქვეყნის დასავლურ ორიენტაციას, უნდა კონსოლიდირდნენ.

პროდასავლური ძალების გაერთიანება „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოახერხა. ყველა პროდასავლური ძალა, რომელიც მის ირგვლივ იყო, მათთვის სამწუხაროდ, მათ გამოეყო და

არც ბრიუსელსა და არც ვაშინგტონს ჩვენთვის არ სცხელათ. ამერიკაში მთელი ყურადღება საპრეზიდენტო არჩევნებზეა მიპყრობილი, ბრიუსელი კი გადართულია მიგრაციის კრიზისზე, ტერორიზმზე, ევროპის პოტენციურ საფრთხეებზე ანუ არ ვართ მათთვის მთავარი თემა

მათ შორის წყალგამყოფი გაჩნდა. იმედი მაქვს, რომ არჩევნების შემდეგ, მანამდე ეს ვერ მოხდება, ამ ტიპის ძალების კონსოლიდაცია მოხდება.

– ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამდე სააკაშვილს პოლიტიკური ველი მოსუფთავებული ჰქონდა და მას კონკურენტი რეალურად არც ჰყავდა. პოლიტიკური სცენა გარკვეულწილად ახლაც მოსუფთავებულია იმ თვალსაზრისით, რომ რომელიმე პოლიტიკურ ძალას არჩევნების დამაჯერებლად მოგება გაუჭირდება. რა საფრთხეს შეიცავს ვითარება, როცა მოახლოებულ არჩევნებს არც აშკარა ფავორიტი, არც კონსოლიდირებული საპარლამენტო უმრავლესობა და არც მთავრობა ჰყავს?

– ამ ვითარებას ერთი პლუსი აქვს. საბედნიეროდ, ვერცერთი ძალა ვერ მოახერხებს თავის ხელში ძალაუფლების უზურპაციას. დიდი იმედი მაქვს, არცერთ ძალას არ ექნება არც საკონსტიტუციო უმრავლესობა და არც ძალიან მკვეთრი უმრავლესობის მოპოვების საშუალება. ამგვარ ვითარებას, დიდ ძალაუფლებას ნაცმოძრაობა და „ქართული ოცნება“ პირველ ეტაპზე ცუდად იყენებდნენ.

სახელისუფლებო პარტიაში უკვე არსებული კონფიგურაციის მინუსი არის ის, რომ შექმნილი ვითარება ხელ-ფეხს უსნის იმ ძალებს, რომლებიც პირადად ჩემთვის არიან მიუღებლები. ესენი არიან ღიად პრორუსული ძალები და შოვინისტურ-ნაციონალისტური იდეების მქონე ძალები. არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე კოალიციაში შესვლით მათ არაპროპორციული პოლიტიკური გავლენა მოიპოვონ პოლიტიკურ პროცესზე.

არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ „ქართულ ოცნებას“ თანამშრომლობა მოუწიოს ან ბურჯანაძესთან, ან ინაშვილთან. ეს ქართული პოლიტიკისთვის კარგი არ იქნება.

მეორე პლუსი არის ის, რომ იდეოლოგიურად ერთ ფლანგზე მყოფ პარტიებს, მიუხედავად მათ შორის წარსულში შუღლისა, მაინც უბიძგებს თანამშრომლობისკენ. ამ რეალობაში ამ პარტიებს ამის პოტენციალი ექნებათ. მთავარი მაინც ისაა, რომ ვერავინ მოახერხებს ძალაუფლების უზურპაციას და ყველას მოუწევს სხვებისთვის ძალაუფლების გადანაწილება.

– „ქართული ოცნების“ ფაქტობრივი დაშლის შედეგებზე უამრავი მოსაზრება გამოითქვა. კულტურის ექსმინისტრ ნიკა რურუას აზრით, თუ აქამდე ივანიშვილი ახერხებდა მის მიერ დაკომპლექტებულ მმართველ გუნდში ბალანსის დაცვას, ვითარების გამწვავების შემთხვევაში მან არჩევანი რეტროგრადულ ძალებზე გააკეთა. მისივე მტკიცებით, მომხდარი ასევე იმას ნიშნავს, რომ მას რესპუბლიკელების ოპოზიციონერებად გადაქცევა არ უნდა, მაგრამ უარი თქვა იმაზე, რომ არჩევნებზე „რესპუბლიკელებს ზურგზე მოიკიდებს“. ეთანხმებით ბატონი რურუას მოსაზრებას?

– რესპუბლიკურ პარტიას რომ გადაეწყვიტა, საბოლოოდ გამოჰყოფოდა კოალიციას და ეთქვა, რომ მას და „ქართულ ოცნებას“ შორის არის მკვეთრი იდეოლოგიური პრობლემა და ისინი არ აპირებენ, კოალიციას შეუნარჩუნონ პროდასავლური იმიჯი, ეს უფრო პოზიტიური იქნებოდა მათთვისაც და ქვეყნის განვითარებისთვისაც.

შუალედური პოზიციის დაჭერა და იმის თქმა, რომ რესპუბლიკელები არ არიან კოალიციაში, მაგრამ ინარჩუნებენ პოსტებს, ცალკე გადიან არჩევნებში და ისევ იქნებიან კოალიციაში, არ არის კარგი. როგორც მინიმუმ, ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ყველაფერი დავიდა კონკრეტული თანამდებობების განაწილებამდე და მათ თანამდებობები ვერ დათმეს.

საერთაშორისო აღქმაზე რესპუბლიკელების გარიყვა უარყოფითად აისახება, მაგრამ ეს ღარიბაშვილის კვირიკაშვილით ჩანაცვლებით ბალანსდება

არა მგონია, ეს კარგი ამბავი იყოს მათი ელექტორატისთვის. რა თქმა უნდა, მათი საქმეა, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება რომ დატოვა მათმა ქცევამ, ფაქტია.

ის, რომ ივანიშვილს არჩევნებზე არ უნდა რესპუბლიკელების ზურგზე მოკიდება, არა მგონია, მასზე კარგად მეტყველებდეს, იმიტომ, რომ მმართველ კოალიციაში ჯანსაღი ძალა ერთ-ერთი კი არა, ერთადერთი რესპუბლიკელები იყვნენ. მცირე გამონაკლისის გარდა, ამ პარტიის წარმომადგენლები მთავრობაშიც და პარლამენტშიც ხელისუფლების ნათელ წერტილებად ითვლებიან.

ჩვენ ხელისუფლება როგორადაც არ უნდა მოგვწონდეს, საერთაშორისო ასპარეზზეც ასეთი შეფასებები კეთდება. ის, რომ ივანიშვილმა პოლიტიკაში ყოფნა უნდა გააგრძელოს რესპუბლიკელების გარეშე, არა მგონია, კარგად მეტყველებდეს როგორც მის პოლიტიკურ ამბიციებზე, ისე იმაზე, თუ რა მიმართულებით უნდა, რომ ქვეყანა წაიყვანოს.

ის, რომ ივანიშვილს არჩევნებზე არ უნდა რესპუბლიკელების ზურგზე მოკიდება, არა მგონია, მასზე კარგად მეტყველებდეს, იმიტომ, რომ მმართველ კოალიციაში ჯანსაღი ძალა ერთ-ერთი კი არა, ერთადერთი რესპუბლიკელები იყვნენ

– თუ დავუშვებთ, რომ ივანიშვილმა 2016 წლის არჩევნების წინ არჩევანი მართლაც კოალიციის შიგნით მყოფ რეტროგრადებზე გააკეთა, ეს რას შეიძლება ნიშნავდეს? იმას ხომ არა, რომ ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ მთავარ კონკურენტად რეტროგრადულობის რეპუტაციის მქონე პატრიოტთა ალიანსი და ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობა მიიჩნია?

– მე უფრო მარტივად ვუდგები. ივანიშვილმა პარტნიორებად ის პოლიტიკური ძალები არჩია, რომლებთანაც უფრო კომფორტულად გრძნობს თავს. საუბარია იმ ხალხზე, რომლებიც უფრო მარტივად გასაკონტროლებლები არიან, მასზე არიან დამოკიდებული და, ალბათ, ისინი მასთან იდეოლოგიურად უფრო ახლოს დგანან. ეს გახლდათ მთავარი მიზეზი იმისა, როცა ივანიშვილი ამგვარ ფუნდამენტურ გადაწყვეტილებებს იღებდა. იგივე შეიძლება ითქვას ალასანიასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზეც.

ასეთი ტიპის გადაწყვეტილება უფრო მეტად იმას ნიშნავს, რომ არჩევნების შემდეგ მას ექნება საშუალება, ნახოს, ვინ უფრო იაფად გაიყიდება პოზიციის შესაცვლელად. იგი გარიგებაში სწორედ ამ ხალხთან შევა. მე ასევე არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნების შემდეგ ივანიშვილმა სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან დაიწყოს ვაჭრობა – რესპუბლიკელებთან, ბურჯანაძესთან და ინაშვილთან. ვისაც ივანიშვილთან ნაკლები მოთხოვნები ექნება, სწორედ ის პოლიტიკური ძალა აღმოჩნდება პარლამენტში ივანიშვილის „ქართული ოცნების“ პარტნიორი. „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესები იმაზე მეტყველებს, რომ არჩევნების შემდეგ ივანიშვილს ბურჯანაძესთან და ინაშვილთან თანამშრომლობის პრობლემა არ ექნება.

– როგორ აღიქვამდა, ერთი მხრივ, ვაშინგტონი და ბრიუსელი და, მეორე მხრივ, მოსკოვი საქართველოს შიდა პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებს?

– ჩვენთვის სამწუხარო ისაა, რომ არც ბრიუსელსა და არც ვაშინგტონს თავიანთი პრობლემების გამო ჩვენთვის არ სცხელათ. ამერიკაში მთელი ყურადღება საპრეზიდენტო არჩევნებზეა მიპყრობილი, ბრიუსელი კი გადართულია მიგრაციის კრიზისზე, ტერორიზმზე, ევროპის პოტენციურ საფრთხეებზე ანუ არ ვართ მათთვის მთავარი თემა. თუმცა ის, რომ ცოტა ხნის წინ ივანიშვილმა გამოცვალა პრემიერ-მინისტრი და პრემიერად დანიშნა მისთვის ახლო მეორე პირი – კვირიკაშვილი, ამ ლოგიკაში ჯდება.

ღარიბაშვილისგან განსხვავებით, კვირიკაშვილი საარჩევნო პროცესისთვის უფრო მისაღები პერსონაა. ღარიბაშვილი არ გამოირჩეოდა არც ქარიზმით, არც უცხოეთში პარტნიორებთან ურთიერთობით. პირიქით, მას უცხოელებთან კომუნიკაციაში პრობლემებიც კი ჰქონდა. კვირიკაშვილმა ამ პრობლემის დაძლევა მოახერხა.

ამ ცვლილებით ივანიშვილმა დასავლეთს აჩვენა, რომ პრემიერი არის ადამიანი, რომელსაც შეიძლება ელაპარაკო და ინტენსიურად გქონდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

საერთაშორისო აღქმაზე რესპუბლიკელების გარიყვა უარყოფითად აისახება, მაგრამ ეს ბალანსდება წინა ნაბიჯით ანუ ღარიბაშვილის კვირიკაშვილით ჩანაცვლებით. ამ გადასახედიდან ივანიშვილის მიერ პრემიერის შეცვლის ლოგიკა უფრო გასაგები ხდება და ისიც, თუ რატომ მოჰყვა ამას რესპუბლიკელების ნელ-ნელა ჩაჩოჩება.

– მოსკოვის რეაქციაზე რას იტყვით?

– ჩვენ ვიცით, რა დამოკიდებულება აქვს მოსკოვს რესპუბლიკელების და თინა ხიდაშელის განცხადებების მიმართ. „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე ცვლილებები მოსკოვისთვის კარგი გზავნილია. კოალიციაში ყველაზე ანტირუსულად განწყობილი ორი ძალა აღარ არის მმართველ გუნდში. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას ეს ივანიშვილისთვის მთავარი მოტივი ყოფილიყო, თუმცა, არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ივანიშვილი კარასინის განცხადებებს „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებით გამოეხმაურა. კარასინის განცხადების გარდა, რუსეთის საგარეო უწყებას ჰქონდა იმავე თემაზე განცხადება. როგორც წესი, საგარეო უწყება ასეთ განცხადებებს ტყუილად არ აკეთებს.

– პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, საქართველოს გარდა, რუსეთშიც გავრცელდა. რუსეთშიც და საქართველოშიც ამგვარი კადრები პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისთვის იქნა გამოყენებული. რუსეთსა და საქართველოში ფირების გავრცელების ისტორია შესაძლოა უბრალო დამთხვევაც კი იყოს, მაგრამ ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლის ხელწერა რომ ერთმანეთს ჰგავს, ფაქტია. ბევრმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ამგვარ კადრებს შესაძლოა სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები იყენებდნენ. რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ საქართველოში ამგვარ კადრებს რუსული სპეცსამსახურები იყენებდნენ?

– ამის ალბათობა ძალიან დიდია. მარტო ამ ჩანაწერებზე არ არის საუბარი. ჩვენ გვახსოვს სააკაშვილსა და გვარამიას შორის გავრცელებული სატელეფონო ჩანაწერი. ვაიბერით საუბრის ჩაწერა მაღალი დონის სპეცსამსახურების გაკეთებული უნდა იყოს. ღიად ჩანს, რომ რუსული სპეცსამსახურები ან თანამშრომლობენ ჩვენს სპეცსამსახურებთან, რაც თუ ასეა, სრული კატასტროფაა ან რუსული სპეცსამსახურები თავად აკეთებენ ამას და შემდეგ მათ ჩვენს შიდა პოლიტიკაში ჩასარევად იყენებენ.

ხელწერა მსგავსია, რაც ჩვენთვის დასაფიქრებელი რამაა. მე მახარებს ის, რომ ჩვენი მედია მაქსიმალურად იკავებს თავს ამ ტიპის მასალების გავრცელებისა და ტირაჟირებისგან. ის, რაც რუსულმა ნტვ-მ გააკეთა, სამარცხვინო და ამაზრზენი ფაქტია. ამის გამკეთებელს მედიასთან კავშირი არ აქვს. ჩვენთან, პოზიტიური გაგებით თვითცენზურა შეიმჩნევა, რაც მახარებს.

ერთადერთი გზა, რომ ამას ეფექტურად ებრძოლო, გახლავთ ამ საკითხში პასუხისმგებლობა. ის, რომ ხელწერა ერთია და ერთი ტიპის ჩანაწერებია, ფაქტია და ამაზე რომ მეტი დაფიქრება და ყურადღების გამახვილება გვმართებს, ესეც აშკარაა.

კობა ბენდელიანი, ინტერპრესნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბაჯონი ქეთათო

არსენ იაცენიუკი გადადგა

გუშინ, 10 აპრილს, უკრაინის პრემიერ-მინისტრი არსენ იაცენიუკი გადადგა.

ამის შესახებ მან ყოველკვირეულ ტელეგადაცემაში „10 წუთი პრემიერ-მინისტრთან“ განაცხადა.

– პეტრო პოროშენკოს ბლოკის საპარლამენტო ფრაქციამ მთავრობის მეთაურის თანამდებობაზე ვლადიმერ გროისმანის კანდიდატურა წარადგინა. გავაკეთე რა ყველაფერი სტაბილურობისა და კურსის უწყვეტობისთვის, ვაცხადებ გადაწყვეტილებას, გადავაბარო მთავრობის მეთაურის უფლებამოსილება, – განაცხადა არსენ იაცენიუკმა.

მან მიუთითა, რომ ახალ ვითარებაში თავის ამოცანებს უფრო ფართოდ ხედავს, ვიდრე ეს მთავრობის მეთაურობაა.

– ეს არის ახალი საარჩევნო კანონმდებლობა, საკონსტიტუციო რეფორმა, სასამართლო რეფორმა, ხელისუფლების კურსის გაკონტროლება, უკრაინის საერთაშორისო მხარდაჭერა და მისი წევრობა ნატოსა და ევროკავშირში, – აღნიშნა იაცენიუკმა.

მისი თქმით, უკრაინის პარლამენტი მისი გადადგომის საკითხს ამ კვირაში განიხილავს.

– 12 აპრილს, სამშაბათს, ჩემი თხოვნა შეტანილი იქნება უმაღლეს რადაში, – განაცხადა იაცენიუკმა.

მან გადადგომის მიზეზებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში ხელოვნურად შეიქმნა.

– პოლიტიკოსები დააბრმავა ერთი ადამიანის შეცვლის სურვილმა, მთავრობის შეცვლის პროცესი კი ადგილზე უაზრო სირბილად იქცა, – აღნიშნა იაცენიუკმა, პოლიტიკოსების ვინაობა კი არ დააკონკრეტა.

გადამდგარმა პრემიერმა განაცხადა, რომ აუცილებელია ახალი მთავრობის სწრაფად არჩევა და პარლამენტში ახალი საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნა.

მანვე სახალხო ფრონტს მისი გადაწყვეტილების მხარდაჭერა სთხოვა და განაცხადა, რომ სახალხო ფრონტი კოალიციაში რჩება.

ჯონ ქერი ქაბულში ჩავიდა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი ავღანეთის დედაქალაქში ჩავიდა. აქ ის შეხვდა და ესაუბრა ავღანეთის პრეზიდენტს აშრაფ განისს.

საუბრის ძირითადი თემა თალიბანის საკითხი იყო.

ავღანეთის პრეზიდენტმა ამერიკელ სტუმარს განუცხადა, რომ თალიბანთან მოლაპარაკებისათვის ყველაფერს აკეთებს, მაგრამ საქმე წინ ვერ მიდის. მიზეზი თალიბანის ხელმძღვანელთა პოზიციაა.

ჯონ ქერიმ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ავღანეთის შიგნით არსებული უთანხმოება მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს.

ქერიმ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რონ აშშ-მ ავღანეთში უდიდესი სამუშაო ჩაატარა და ეროვნულ კონსოლიდაციასაც მიაღწია.

ექსპერტების უმრავლესობა ასეთ ოპტიმიზმს არ იზიარებს.

– ჩვენი დიპლომატია ბევრს ეცადა, ავღანეთის შიგნით კონსოლიდაციისთვის მიეღწია. ჯერჯერობით წარმატებებით ვერ დავიკვეხნით, – აცხადებს ამერიკელი სპეციალისტი კრის მაისონი.

ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ავღანეთის შიგნით უამრავი მოუგვარებელი პრობლემაა. აშშ შეეცადა, ჩაექრო უთანხმოება პრეზიდენტ განისსა და პრემიერ აბდულა აბდულას შორის. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტისა და პრემიერის უფლებამოსილებანი გაიმიჯნა, მათ შორის სერიოზული უთანხმოება კვლავაც რჩება. ეს კი ხელისუფლების ქმედებაუნარიანობაზე ძლიერ მოქმედებს.

– ავღანელთა უმრავლესობა მთავრობის არაქმედებაუნარიანობით უკმაყოფილოა, – ამბობს მაისონი.

თალიბანთან ურთიერთობები მოუგვარებელი რჩება. შედეგად, ნანატრმა მშვიდობამ ავღანეთში კვლავაც ვერ დაისადგურა. ტერაქტები, შეტაკებები, დივერსიები არ წყდება. არხეინად გრძნობს თავს ნარკომაფიაც, რომლის ბოსებსაც ქვეყანა გავლენის ზონებად აქვთ დაყოფილი და რაც სურთ, იმას აკეთებენ.

ბელგიაში ტერაქტში მონაწილე კიდევ ერთი პიროვნება დააკავეს

ბელგიაში დააკავეს „შლაპიანი მამაკაცი“, რომელსაც ბრიუსელის აეროპორტში მომხდარ ტერაქტში მონაწილეობა ედება ბრალად.

მისი სახელი მუჰამედ აბრინია. ის მაროკოელი წარმოშობის ბელგიელია. აბრინს უკვე ოფიციალურად წაუყენეს ბრალდება.

ბელგიაში გრძელდება რეიდები. უკანასკნელი დღეების განმავლობაში დაკავებულია კიდევ 6 ადამიანი.

მათ ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობის თაობაზე ოფიციალურად წაუყენეს ბრალი.

შტაინმაიერს რუსეთის დიდ რვიანში დაბრუნება სურს

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა განაცხადა, რომ რუსეთის დიდი შვიდეულის რიგებთან მიერთება ცუდი არ იქნებოდა. მან აღნიშნა, რომ ეს დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარიმართება მოვლენები დონბასში.

– რუსეთმა მინსკის შეთანხმებები უნდა შეასრულოს! – თქვა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

შტაინმაიერმა განაცხადა, რომ დღეს მინსკის შეთანხმებები არ სრულდება, რაშიც რუსეთია დამნაშავე.

უკრაინელი ექსპერტი ფისენკო მიიჩნევს, რომ შტაინმაიერი, რომლის უკანაც გერმანიის ექსკანცლერი შრიოდერი დგას, პრორუსული პოლიტიკის გატარებას ცდილობს. შტაინმაიერი მიისწრაფვის, რუსეთი იზოლაციიდან გამოიყვანოს, რაშიც უკრაინა უშლის ხელს.

– დონბასში საომარი მოქმედებები არ წყდება. ასეთ პირობებში არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. შტაინმაიერიც იძულებულია, სიმართლეს თვალი გაუსწოროს და აგრესიაში რუსეთი დაადანაშაულოს, – თქვა ფისენკომ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სანდერსმა ვერმონტის შტატში გაიმარჯვა

აშშ-ში პრაიმერიზი გრძელდება. ვერმონტის შტატში ბარნ სანდერსმა ჰილარი კლინტონის დამარცხება შეძლო. კლინტონს მხარი 44%-მა დაუჭირა, სანდერსს – 56%-მა.

უკანასკნელი გამარჯვებების მიუხედავად, სანდერსი კლინტონს კვლავაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

მოსკოვში ნადეჟდა სავჩენკოს მხარდამჭერი აქციის მონაწილენი დააკავეს

მოსკოვში, იური დოლგორუკის ძეგლთან, ნადეჟდა სავჩენკოს მხარდამჭერი აქცია გაიმართა.

პოლიციამ აქცია დაარბია. დაკავეს აქციის 3 მონაწილე. ისინი პოლიციის რაიგანყოფილებაში წაიყვანეს.

დაკავებულები რამდენიმე საათში გაათავისუფლეს. ოქმი არ შეუდგენიათ, თუმცა ყველა მათგანთან პოლიციის თანამშრომლებმა პროფილაქტიკური საუბრები ჩაატარეს.

ავღანეთში მიწისძვრის შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა

გუშინ, 10 აპრილს, ავღანეთში ძლიერი მიწისძვრა მოხდა.

შედეგად, სულ მცირე, 2 ადამიანი დაიღუპა და 10 დაშავდა.

დაღუპულები პაკისტანის მოქალაქეები არიან.

მიწისძვრა 6,8 მაგნიტუდის სიძლიერის იყო. მისი ეპიცენტრი ქალაქ აშკაშამიდან 50 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა.

მედვედევი: „რუსეთი იარაღს აზერბაიჯანსაც აწვდის და სომხეთსაც“

რუსეთის პრემიერმა დიმიტრი მედვედევმა დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა იარაღით ამარაგებს როგორც სომხეთს, ისე აზერბაიჯანს.

მედვედევის აზრით, ეს ამიერკავკასიაში მშვიდობას უზრუნველყოფს.

– ჩვენ ორივე მხარეს იარაღით იმგვარად ვამარაგებთ, რომ უპირატესობა ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიპოვოს. შესაბამისად, ვერც სომხეთი და ვერც აზერბაიჯანი საომარი მოქმედებების განახლებას ვერ გაბედავენ, – თქვა მედვედევმა.

დიმიტრი ანატოლიევიჩმა ხაზი გაუსვა, რომ თუ რუსეთი სომხეთისა და აზერბაიჯანის იარაღით მომარაგებაზე უარს იტყვის, წარმოიქმნება ვაკუუმი, რომელიც რეგიონის სტაბილურობას ხელს შეუშლის.

– ის, ვინც რუსეთის ადგილს დაიკავებს, ბალანსის შენარჩუნებას კი არა, ერთ-ერთი მხარისთვის უპირატესობის მოპოვებას შეეცდება, – თქვა მედვედევმა.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ცნობილი სექსოლოგი გიორგი გოგბაიძე სრულად განკურნავს პროსტატიტსა და სექსუალურ სისუსტეს.
ტელ: 599-25-50-50.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ბათუმს პლეი ოფში ქუთაისიც დაემატა

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

რუსთავი – ბათუმი 68:69

(17:10; 17:28; 18:21; 16:10)

პლეი ოფში გასასვლელად მებრძოლმა რუსთავმა სუპერლიგის ლიდერსა და ოთხეულში ადგილდაბეჭდულ ბათუმს უმასპინძლა და, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა 17:2 გაქცევით დაიწყო, საბოლოოდ მარცხი განიცადა – 68:69.

მატჩის საწყისი 5 წუთი ისე წარიმართა, გაფიქრებინებდათ, ბათუმელები უშანსოდ არიანო. მასპინძლებს ყველაფერი გამოსდიოდათ – შორი და საშუალო სროლები, განსაკუთრებით კი ფარქვეშიდან ეფექტური გდებებით გამოირჩეოდნენ რუსთაველები.

კაილ ტურპინმა მატჩის დასაწყისში ზედიზედ 8 ქულა მიითვალა და ბათუმელებმა წუთშესვენება აიღეს. პირველი მეოთხედის ბოლომდე ბევრი არაფერი შეცვლილა, ქვემოქართლელები 17:2 დაწინაურდნენ, რის შემდეგაც ბათუმელთა ჯერიც დადგა.

მეორე ათწუთეულიდან ზღვისპირელებმა რადიკალურად შეცვალეს თამაშის მანერა უარესიდან საუკეთესოსკენ და ჩამორჩენის აღმოფხვრას მიჰყვეს ხელი. ეს ბათუმელებმა დიდ შესვენებამდე მოახერხეს, რაც მეტწილად აკაკი დვალიშვილის შედეგიანი ფარქვეშა თამაშის, სტუმართა უკრაინელი ლეგიონერებისა და ფეხმარდი გამთამაშებლის – ირაკლი მიქელაძის დამსახურებაა.

მესამე პერიოდში ბათუმელებმა შედეგიანი თამაში განაგრძეს და დავით უსტიაშვილის გუნდის ლიდერობამ 10 ქულას მიაღწია. ბოლო პერიოდის წინ სტუმრები 7 ქულას იგებდნენ, თუმცა მიხეილ ჭოჭუას, ლაშა გამყრელიძისა და კაილ ტურპინის წინამძღოლობით რუსთაველებმა ჩამორჩენის გაბათილება მოახერხა და ბოლო წუთებმა ქულა-ქულაში ჩაიარა. ბოლო 3 წუთში ვერც ერთი გუნდი 1 ქულაზე მეტით ვერ დაწინაურდა.

ბოლო წუთზე გუნდებმა ლიდერობა რამდენჯერმე გაცვალეს.

ჯერ იყო და ირაკლი მიქელაძემ სირენამდე 39 წამით ადრე 67:66 დაწინაურა ბათუმელები, რასაც მიხეილ ჭოჭუამ ურთულესი პოზიციიდან ჩაგდებული ორქულიანით უპასუხა – 68:67 რუსთაველთა სასარგებლოდ.

ბათუმელებს თამაშის გადასარჩენად 26 წამი ჰქონდათ და თამაში საკუთარ თავზე ბესო ლეჟავამ აიღო, რომელმაც სოლო რეიდით უმნიშვნელოვანესი ბურთი ჩააგდო და ქულით ჩამორჩენილ რუსთაველებს თამაშის გადასარჩენად 7 წამი დაუტოვა.

წუთშესვენების შემდეგ ბურთი თამაშში ლევან ხმელიძემ შეიტანა. ლაშა გამყრელიძემ ხმელიძეს დაუტოვა, რომელმაც ბათუმელთა კარგი დაცვის გამო თავისუფალი თანაგუნდელი ვერ იპოვა და ცაიტნოტში ჩავარდნილმა თავად განიზრახა შეტევა, რომელიც უშედეგოდ დასრულდა და დროც ამოიწურა.

ბათუმელებს 20 ქულით და 18 მოხსნით აკაკი დვალიშვილმა ულიდერა. 12 ქულა მიითვალა ლეონიდ სტეპანიშინმა, ხოლო იგორ კრივცოვის ანგარიშზე ორმაგი დუბლი – 10 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა.

რუსთავში 21 ქულითა და 10 მოხსნით საუკეთესო იყო ამერიკელი კაილ ტურპინი.

ქუთაისი – სოხუმი 68:67

(15:19; 11:17; 26:5; 16:26)

სატურნირო თვალსაზრისით ეს გახლდათ უმნიშვნელოვანესი შეხვედრა. გამარჯვების შემთხვევაში სოხუმელები ქუთაისს ქულებით უთანაბრდებოდნენ და მოგებისთვის მაქსიმუმიც გაიღეს, თუმცა ბოლო წამებზე მასპინძლებმა იმარჯვეს.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. თავდაპირველად სოხუმელები დაწინაურდნენ, რომლებმაც პირველი პერიოდი 19:15, მეორე კი 17:11 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 10-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.

მესამე ათწუთეულში მასპინძლებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს და ისე შედეგიანად ითამაშეს, რომ არათუ ჩამორჩენა გააბათილეს, არამედ 11 ქულით წინ გავიდნენ. სოხუმელებმა მესამე პერიოდი გამანადგურებელი სხვაობით – 5:26 დათმეს და თითქოს წასაგებად გაიწირნენ.

ქუთაისელებმა დიდად იხეირეს ბექა ბექაურის ფარქვეშა თამაშით, რომელმაც ამ მატჩში მითვლილი 16 მოხსნიდან 9 მეტოქის ფარზე განახორციელა. მთლიანობაში მასპინძლებმა მეტოქეზე 31-ით მეტი მოხსნა მიითვალეს, რითაც შეტევათა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიმრავლეს.

მიუხედავად ასეთი ჩავარდნისა, სოხუმის კალათბურთელებმა ბოლო პერიოდში მოახერხეს მობილიზება და მეთოდურად, ნაბიჯ-ნაბიჯ შეძლეს ჩამორჩენის გაბათილება და ბოლო წუთზე, შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე, ფილიპ მილერის საჯარიმოების შემდეგ 67:66 დაწინაურდნენ.

ქუთაისმა მატჩის ბედის გადამწყვეტი შეტევა წარმატებით დააგვირგვინა. გოგა ცეკვავას პასით ზაურ ფაშაევმა გამარჯვების ბურთი ზედ საფინალო სირენამდე ჩააგდო. ამ მოგებით ქუთაისმა პლეი ოფში ადგილი დაიბევა.

გამარჯვებულებს 15-15 ქულა შესძინეს ზაურ ფაშაევმა და ივან მიკულიჩმა. 14 ქულა მიითვალა ცეკვავამ, ხოლო რიჩარდ მათიაშვილმა და ბექა ბექაურმა თავი ფარქვეშ თამაშით გამოიჩინეს – პირველმა 12 ბურთი მოხსნა, მეორემ – 16.

რაც შეეხება სოხუმელებს, 20 ქულით მათგან საუკეთესო ფილიპ მილერი გახლდათ, ხოლო ლევან ფაცაციამ სამმაგი დუბლის ზღვარზე გაიარა – 13 ქულა, 9 მოხსნა და 9 პასი მიითვალა.

მგზავრები – ოლიმპი 89:83

(15:18; 31:19; 27:19; 16:27)

ეს გუნდები ცხრილში მე-6-7 ადგილებზე იყვნენ განთავსებულნი, თუმცა მგზავრებს ჯერაც აქვთ ოთხეულსა და პლეი ოფში გასვლის შანსი და ამ შეხვედრის შედეგს მათთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა.

ოლიმპელებსაც დიდად ეწადათ გამარჯვება, რათა პლეი ოფში გასვლის თეორიული შანსი შეენარჩუნებინათ, მეორეს მხრივ კი ქულათა მარაგი შეევსოთ და ოთხეულის მიღმა დარჩენის შემთხვევაში სუპერლიგაში დასარჩენ ბრძოლაში უკეთეს პოზიციაში აღმოჩენილიყვნენ.

პირველი მეოთხედი მთლიანად თანაბარი გამოდგა. ლიდერი ყოველ წუთში იცვლებოდა, მეტოქეები ერთმანეთს ქულა-ქულით მისდევდნენ. პერიოდის ბოლო წუთზე მცირე უპირატესობა ოლიმპელებმა მოიპოვეს და ათწუთეული 18:15 მოიგეს.

მეორე მეოთხედიდან მგზავრებმა თამაში დაალაგეს და იმდენად გამართული კალათბურთის თამაში იწყეს, რომ ნაირგვარი კომბინაციითა თუ ინდივიდუალური ოსტატობით ქულებს ქულებზე იხვეჭდნენ.

კაშინ მენსომის, რეჯი მერფისა და ლევან გრძელიძის წინამძღოლობით მგზავრებმა მეორე პერიოდი 31;19 მოიგეს და შედეგიანი თამაში დიდი შესვენების შემდეგაც გააგრძელეს. მესამე პერიოდის 27:19 გამარჯვების შემდეგ ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილი მგზავრები 73:56 გალიდერდნენ და მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყვიტეს.

საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად მგზავრებს მეოთხე პერიოდში თამაშის დაჭერა და მეტოქისთვის გალაღების საშუალების არმიცემა სჭირდებოდათ, რასაც თავი კარგად გაართვეს. ოლიმპის კალათბურთელებმა ბოლო წუთებზე კი მოინდომეს, მაგრამ სოლიდური ჩამორჩენის ბოლომდე აღმოფხვრა ვერ მოახერხეს და მგზავრებმა საჭირო გამარჯვება მოიპოვეს.

კაშიმ რენსომმა გამარჯვებულებს 29 ქულით, 8 პასითა და 8 მოხსნით ულიდერა. 17 ქულა მიითვალა კახა ჯინჭარაძემ, ხოლო 15 – ლევან გრძელიძემ. რეჯი მერფიმ ორმაგი დუბლი – 14 ქულა და 13 მოხსნა დააგროვა. ოლიმპში 31 ქულით ლაშა ფარღალავა გამოირჩა, მაგრამ მისმა შედეგიანობამ გუნდს ვერ უშველა.

დინამო – აკადემია 94:66

(25:13; 21:18; 23:24; 25:11)

ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამოელებმა 28 ქულით მოიგეს. აკადემიელებმა გუნდიდან ბოლო ლეგიონერიც გაუშვეს და მთლიანად ახალგაზრდა კალათბურთელების იმედზე დარჩნენ, რომლებმაც ლეგიონერების მყოლსა და დიდი ამბიციების მქონე დინამოელებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

ბოლო პერიოდამდე ანგარიშში სხვაობა იმდენად დიდი არ ყოფილა, თუმცა დასკვნით ათწუთეულში დინამოელებმა 25:11 იმარჯვეს და აკადემიის მარცხს გამანადგურებელი სახე მისცეს.

დინამოში 17 ქულით მაკსიმ კოვაჩევიჩი გამოირჩა, 15 ქულა მიითვალა მიხეილ ბერიშვილმა, ხოლო გიორგი შარაბიძემ თავი 11 ქულას მოუყარა.

აკადემიელთაგან 16-16 ქულით აკაკი ღომოური და მერაბ ბოქოლიშვილი გამოირჩნენ.

სატურნირო ცხრილი:

1.ბათუმი	25	17	8	1980-1838	42
2.ქუთაისი	25	16	9	1938-1856	41
3.დინამო	25	15	10	1835-1764	40
4.სოხუმი	25	14	11	1938-1802	39
5.რუსთავი	25	12	13	1888-1875	37
6.მგზავრები	25	12	13	1829-1920	37
6.რუსთავი	25	12	13	1888-1875	37
7.ოლიმპი	25	9	16	1840-1916	34
8.აკადემია	25	5	20	1809-2086	30

შედეგები

9 აპრილი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტ ჰემი-არსენალი 3:3
ასტონ ვილა-ბორნმუთი 1:2
კრ.პალასი-ნორვიჩი 1:0
საუთჰემპტონი-ნიუკასლი 3:1
სუონსი-ჩელსი 1:0
უოტფორდი-ევერტონი 1:1
სიტი-ვესტ ბრომვიჩი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლესტერი	32	20	9	3	55-31	69
2.ტოტენჰემი	32	17	11	4	57-25	62
3.არსენალი	32	17	8	7	55-33	59
4.სიტი	32	17	6	9	58-33	57
5.მანჩესტერი	31	15	8	8	39-27	53
6.ვესტ ჰემი	32	13	13	6	52-40	52
7.საუთჰემპტონი	33	14	8	11	44-34	50
8.სტოკი	32	13	8	11	36-39	47
9.ლივერპული	30	12	9	9	46-41	45
10.ჩელსი	32	11	11	10	49-42	44
11.ბორნმუთი	33	11	8	14	40-55	41
12.სუონსი	33	10	10	13	34-42	40
13.ვესტ ბრომვიჩი	32	10	10	12	31-39	40
